MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

მენდრეკული

დეზინფორმაცია

2023



IMS

მენდრეული

დ ე ზ ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

2023

MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

ავტორი:

თამარ კინწურაშვილი

სოციალური მედიისი მონიტორი:

მარიამ ქავთარაძე

ანგარიში ეყრდნობა „მითების დეტექტორის“ ფაქტების ანალიტიკოსების მიერ მომზადებულ მასალებს. ფაქტების გადამოწმებაზე მუშაობდნენ:

თინა თვაური, ანი ქისტაური, დავით რობაქიძე, მარიამ ტალახაძე, არაბელა კორძახია, ქეთი ხუციშვილი, ნუცა ძანძავა, პოლინა კულიში, მარიამ რამაზაშვილი

დიზაინი:

ბესიკ დანელია

გარეკანის ფოტო:

SHUTTERSTOCK, RO9DRIGO

ანგარიში მომზადებულია მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ პროექტის „გენდერული დეზინფორმაცია და ინკლუზიური მედიაგაშუქება“ ფარგლებში, International Media Support-ის (IMS) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორ(ებ)ს და არ უნდა აღიქმებოდეს International Media Support-ის პოზიციად.

შესავალი

გენდერული დეზინფორმაციის კვლევა მედიის განვითარების ფონდმა 2022 წელს დაიწყო და პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით მედია ეკოსისტემის შესწავლას 2023 წელსაც აგრძელებს. როგორც მონაცემების ანალიზი აჩვენებს, ეს თემები ინდივიდუალური უფლებების ხელყოფის საკითხებსაც მოიცავს, პოლიტიკური დაპირისპირების ინსტრუმენტადაც გამოიყენება და ანტიდასავლური და ანტილიბერალური განწყობების გასაღვივებლად გლობალურ კონტექსტშიც იჩენს თავს.

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს, რომელიც მხოლოდ გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებით მიზანმიმართულად გავრცელებულ ყალბ ინფორმაციას ან მანიპულაციურ შინაარსს შეეხება, მათ შორის ვიზუალურს. ცალკე ანგარიში დაეთმობა სექსისტურ სიძულვილის ენას, რომელსაც ყოველთვის ფაქტობრივი საფუძველი შეიძლება არ ჰქონდეს, თუმცა ქალთა უფლებებზე თავდასხმის, მათი სტიგმატიზების და დისკრიმინაციის გამოხატულება ჰქონდეს.

კვლევაში განხილულია ფაქტების გადამოწმების პლატფორმის „მითების დეტექტორის“ მიერ საქართველოსა და რუსეთში 2023 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით გამოვლენილი გენდერული დეზინფორმაციის/მანიპულაციის შემთხვევები, გაანალიზებულია სამიზნეები, წყაროები და მავნე აქტორების მოქმედების ტაქტიკა. ანგარიში ორი თავისგან შედგება და საერთო რაოდენობრივი მონაცემების შემდეგ მასში გენდერული დეზინფორმაცია სამიზნეების მიხედვით არის გაანალიზებული.

სოციალური მედიის მონიტორინგისთვის გამოყენებულია ფეისბუქის ანალიტიკური ინსტრუმენტი Crowdtangle, ასევე Meta-ს მესამე მხარის ფაქტების გადამოწმების პროგრამის ფარგლებში საქართველოსა და რუსეთში „მითების დეტექტორის“ მიერ გამოვლენილი ყალბი ინფორმაცია.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია გენდერული დეზინფორმაციის გამოვლენა, მათი წყაროების და მოქმედების ტაქტიკის შესწავლა.

მედიის განვითარების ფონდი (MDF) წარმოდგენილ კვლევაში EU Disinfo Lab-ის გენდერული დეზინფორმაციის შემდეგ დეფინიციას ეყრდნობა:

> **„გენდერული დეზინფორმაცია** გენდერისა და დეზინფორმაციის ინტერსექციაზე აკეთებს აქცენტს, როდესაც ქალები, არაბინარული ადამიანები და საზოგადოების ისეთი მარგინალიზებული წევრები, როგიცაა LGBTQIA+ თემი, არაპროპორციულად ხდებიან ყალბი და არაზუსტი ინ-ფორმაციის სამიზნე. გენდერისა და დეზინფორმაციის შერწყმის ტექნიკები მრავალგვარია; მაგალითად, ისეთი მიზოგენური კომენტარების გავრცელება, რაც გენდერულ სტერეოტი-პებს ამძაფრებს; გრაფიკული კონტენტის სექსუალიზება, ონლაინ შევიწროება, მათ შორის ძალადობრივი მუქარების გავრცელება, კიბერთავდასხმები და ა.შ.[1]“

გარდა ამისა, კვლევაში განხილული ფაქტობრივი უზუსტობის მქონე მაგალითები შეფასებულია ისეთი ინდიკატორებით, როგორიცაა სლატშეიმინიგი და მორალური კრიტერიუმებით გაკიცხვა[2].

> **„სლაცშეიმინგი“ (SLUT-SHAMING)** გულისხმობს ადამიანების, უმეტესად, ქალების და გოგოების კრი-ტიკას იმის გამო, რომ მათი ქცევა, გარეგნობა თუ ჩაცმულობა არ შეესაბამება სექსუალო-ბასთან დაკავშირებით საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ გენდერულ ნორმებს და წარმოდ-გენებს. ასეთ ქცევად თუ გარეგნობად მიიჩნევა, მაგალითად, სექსუალური, პროვოკაციული ჩაცმულობა, კონტრაცეპციის ხელმისაწვდომობის მოთხოვნა, ქორწინებამდელი სექსი ან

1 EU DisinfoLab & #ShePersisted, 12 `October, 2022. Gender-Based Disinformation 101: Theory, Examples, and Need for Regulation https://bit.ly/3JZmtLn

2 გიორგი ურჩუხიშვილი, საფარი, სექსისტური სიძულვილის ენის ქართული ინდიკატორები სამუშაო ფოკუს-ჯგუფების ანგარიში. 2020 bit.ly/47kHgSX

შემთხვევითი სექსი. სლატშეიმინგი ასევე ხშირად გულისხმობს სექსუალური ძალადობის მსხვერპლის მთლიანად ან ნაწილობრივ დადანაშაულებას მისი ქცევითა თუ ჩაცმულობით ამ ძალადობის პროვოცირებაში. სლატშეიმინგი გამოიყენება ქალების შერცხვენის, სტიგმატიზების მიზნით.

მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა – ზნეობრივი ღირებულებების საფუძველზე თავდასხმა.

მონიტორინგი ხორციელდება ფეისბუქის ანალიტიკური ინსტრუმენტის Crowdtangle-ის მეშვეობით, სადაც რეგულარული დაკვირვება 150-ზე მეტ ფეისბუქ ანგარიშზე ხდება. ყალბი ინფორმაციის იდენტიფიცირება ტრადიციული მედია მონიტორინგის საფუძველზეც ხდება, რომელიც 10 გამოცემას (ტვ – 7, ბეჭდური – 3, ონლაინ გამოცემები – 2) მოიცავს. ამასთანავე, ანგარიშში გამოყენებულია ფეისბუქთან ფაქტების გადამოწმების პროგრამის ფარგლებში „მითების დეტექტორის“ თანამშრომლობის შედეგად გამოვლენილი მონაცემები, რომლებიც საქართველოს გარდა რუსეთსაც ფარავს.

მონიტორინგის სუბიექტი ფეისბუქ ანგარიშების სრული სია, რომელიც პერიოდულად ახლდება, ხელმისაწვდომია გენდერბარომეტრის ვებ-გვერდზე[3].

მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი გადამოწმებადი ინფორმაციის იდენტიფიცირების შემდეგ, ინფორმაციის გადამოწმება და მასალისთვის რეიტინგის მინიჭება „მითების დეტექტორის“ მეთოდოლოგიით[4] ხდება, რომელიც საერთაშორისო გამოცდილებას და სტანდარტებს ეფუძნება.

3 სოციალური მედიის მონიტორინგის მეთოდოლოგია. https://genderbarometer.ge/methodology/
4 ფაქტების გადამოწმების მეთოდოლოგია https://mythdetector.ge/ka/methodologia/

სარჩევი

მთავარი მიგნებები 8

1. ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები 11

2. დეზინფორმაცია დასავლეთის წინააღმდეგ 13

2.1. ბავშვები და სექსუალური განათლება 13

2.2. დასავლელი პოლიტიკოსები 18

2.3. იდენტობის დაკარგვა 23

2.4. მართლმსაჯულება 27

3. დეზინფორმაცია უკრაინის წინააღმდეგ 28

4. ქართველი პოლიტიკოსების და მათთან დაკავშირებული პირების წინააღმდეგ 32

5. ჟურნალისტების წინააღმდეგ 37

6. სამოქალაქო აქტივისტების/საგამომცემლო სახლის წინააღმდეგ 47

7. სხვადასხვა 51

დიაგრამები და ცხრილები

დიაგრამა 1.	გენდერული დეზინფორმაცია სამიზნეების მიხედვით	11
ცხრილი 1.	გენდერული დეზინფორმაციის წყაროები ქვეყნების მიხედვით	12
ცხრილი 2.	ბავშვებთან და მათ სექსუალურ განათლებასთან დაკავშირებული დეზინფორმაცია/მანიპულაციური შინაარსი	17
ცხრილი 3.	გენდერული დეზინფორმაცია დასავლელი ქალი პოლიტიკოსების წინააღმდეგ	21
ცხრილი 4.	ჰომოფობიური დეზინფორმაცია აშშ-ს პრეზიდენტის წინააღმდეგ	22
ცხრილი 5.	დეზინფორმაცია, რომელიც იდენტობის დაკარგვის საფრთხეს შეეხება	26
ცხრილი 6.	მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული გენდერული დეზინფორმაცია	27
ცხრილი 7.	უკრაინასთან დაკავშირებული გენდერული დეზინფორმაცია	31
ცხრილი 8.	გენდერული დეზინფორმაცია ქართველი პოლიტიკოსების და მათთან დაკავშირებული პირების წინააღმდეგ	36
ცხრილი 9.	გენდერული დეზინფორმაცია ჟურნალისტების წინააღმდეგ	42
ცხრილი 10.	მიკუთვნება სექსუალური იდენტობის ნიშნით (მთავარი არხი)	44
ცხრილი 11.	მიკუთვნება სექსუალური იდენტობის ნიშნით (საზოგადოებრივი მაუწყებელი)	46
ცხრილი 12.	დეზინფორმაცია სამოქალაქო აქტივისტების და საგამომცემლო სახლის წინააღმდეგ	50
ცხრილი 13.	გენდერული დეზინფორმაცია სხვადასხვა თემატიკაზე	52
მალტეგო 1.	რუსულ და ქართულ წყაროებში გავრცელებული იდენტური დეზინფორმაცია დასავლეთის და უკრაინის წინააღმდეგ	54

მთავარი მიგნებები

გენდერული დეზინფორმაციის ექვსთვიანმა (1 იანვარი – 30 ივნისი, 2023) კვლევამ შემდეგი ტენდენციები გამოკვეთა:

- გამოვლინდა გენდერული დეზინფორმაციის 42 შემთხვევა, რომელთაგან 24 ჰომოფობიური შინაარსის იყო, 18 კი სექსისტურ, ან ქალებზე მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის მახასიათებლებს შეიცავდა.
- როგორც ჰომოფობიური, ასევე გენდერული იდენტობის ნიშნით გამოვლენილი შემთხვევების უმრავლესობაში სამიზნე დასავლეთი იყო; ხოლო უკრაინის წინააღმდეგ მიმართული ყალბი ამბები მეტწილად ჰომოფობიური იყო.
- საქართველოს შიდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესთან კავშირში კი სამიზნეები პოლიტიკოსები, მათთან დაკავშირებული პირები, ჟურნალისტები და სამოქალაქო აქტივისტები იყვნენ, რომელთა წინააღმდეგ დეზინფორმაციის გარდა, მიზანმიმართული დისკრედიტაციის კამპანიებიც მიმდინარეობდა.

დასავლეთი და უკრაინა

- დასავლეთის და უკრაინის წინააღმდეგ გავრცელებული იდენტური დეზინფორმაციის წყაროები ხშირად როგორც რუსული, ასევე ქართული საკომუნიკაციო არხები ერთდროულად იყვნენ, ხოლო გავრცელების პირველწყარო მეტწილად რუსულენოვანი იყო, რაც იმას ადასტურებს, რომ ანტიდასავლური და ანტიუკრაინული პროპაგანდისტული დეზინფორმაცია ხშირად რუსეთიდან იღებს სათავეს.
- ყველაზე მეტი ანტიდასავლური მასალა ბავშვებსა და მათ სექსუალურ განათლებას ეხებოდა და ამკვიდრებდა აზრს, რომ დასავლეთში პედოფილიის ლეგიტიმაცია ხდება; სკოლებში სექსუალური განათლება მოზარდების გარყვნას უწყობს ხელს; დასავლეთში გენდერული იდენტობის შეცვლა მშობლების ნებართვის გარეშე ხდება და ჰომოსექსუალობის მიუღებლობის გამო კონსერვატიულ ოჯახებს ბავშვებს ართმევენ.
- პედოფილიის ლეგალიზების თემები რომის პაპს, გაეროს და სხვადასხვა დასავლურ ქვეყნებს უკავშირდებოდა და ხშირად რუსული პროპაგანდისტული მედიებიდან (Известия, Экспресс газета) იღებდა სათავეს.

- საქართველოში რუსულენოვანი შინაარსის რეპლიკაციას კრემლისტური გამოცემები „ალტ-ინფო“, „საქართველო და მსოფლიო“, სეზონი ტვ და სხვები ახდენდნენ. დასავლეთის მიმართ მმართველი პარტიის კრიტიკული განცხადებების ზრდის პარალელურად კი ჰომოფობიურ თემებზე კაპიტალიზაციას ზოგჯერ სამთავრობო სარედაქციო პოლიტიკის „იმედიც“ ცდილობდა და ისეთივე მეთოდებს მიმართავდა, რასაც კრემლის სარედაქციო პოლიტიკასთან ახლოს მდგომი მედიები იყენებდნენ.
- დასავლელი პოლიტიკოსების წინააღმდეგ გავრცელებული დეზინფორმაციებიდან სლატ-შეიმინგის ერთი შემთხვევა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს ანალენა ბერბოკს შეეხებოდა და რუსული მედიიდან იღებდა სათავეს; სხვა შემთხვევები კი მორალური კრიტერიუმებით გაკიცხვას ისახავდა მიზნად და ფინეთის პრემიერ-მინისტრს სანა მარინის, ესტონეთის პრემიერ-მინისტრის კაია კალასსა და ევროპარლამენტარ ვიოლა ფონ კრამონს მიემართებოდა.
- იდენტობის დაკარგვის თემაზე ჰომოფობიური შინაარსის სამიზნე ყველაზე ხშირად ევროკავშირი/ევროპა და მათთან ერთად ორ შემთხვევაში ირიბად უკრაინაც იყო.
- უკრაინის წინააღმდეგ გავრცელებული დეზინფორმაცია მეტწილად ჰომოფობიური შინაარსის იყო. ერთი მხრივ, ხდებოდა რუსეთ-უკრაინის ომში გაღებული მსხვერპლის ჰომოსექსუალობის უფლებებისთვის ბრძოლად მანიპულაციური წარმოჩენა; მეორე მხრივ, სკოლებში ლგბტქი საკითხების სწავლების დანერგვაზე დეზინფორმაციის ანტიამერიკულ კონტექსტში გავრცელება.
- ევრაზიონისტ ალექსანდრე დუგინთან დაკავშირებული Царьград-ის გარდა, უკრაინის სკოლებში ლგბტქი საკითხების სწავლებაზე ინფორმაციას რუსეთის ეკლესიასთან დაკავშირებული რუსული პლატფორმები ავრცელებდნენ.
- სლატშეიმინგის ერთი შემთხვევა უკრაინის პირველ ლედის, ოლენა ზელენსკას უკავშირდებოდა, რომლის მიმართაც მსგავსი მეთოდებით გაყალბებული ვიზუალი 2022 წელსაც ვრცელდებოდა.

საქართველო და შიდაპოლიტიკური პროცესი

- მხოლოდ ქართულენოვანი წყაროები ადგილობრივი აქტორების – ჟურნალისტების, პოლიტიკოსების, სამოქალაქო აქტივისტებისა და სხვა პირების წინააღმდეგ ყალბი შინაარსის გავრცელების დროს ფიგურირებდნენ.
- ქართველი ქალი პოლიტიკოსების და პოლიტიკოსებთან დაკავშირებული პირების წინააღმდეგ ძირითადად სლატშეიმინგის და მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის მაგალითები გამოიკვეთა;
- საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ ფოტოფაბრიკაცია მის მიერ ოპოზიციური „მთავარი არხის“ დამფუძნებლის ნიკა გვარამიას შეწყალებას უკავშირდებოდა. ანონიმური სახელისუფლებო და კრემლისტური ფეისბუქ ანგარიშები პორნოსაიტებზე გავრცელებული ვიზუალის ფოტოფაბრიკაციას ახდენდნენ და პრეზიდენტის წინააღმდეგ სექსისტური კომენტარებით ავრცელებდნენ.

- სლატშეიმინგი პატიმრობაში მყოფ საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დედასაც უკავშირდებოდა.
- ჟურნალისტების შემთხვევაში კი ადგილი ჰქონდა, როგორც ჰომოფობიური შინაარსის პოსტების გავრცელებას, ასევე ქალი ჟურნალისტების მიმართ სლატშეიმინგს. სამიზნეები კი ოპოზიციური და ხელისუფლების მიმართ კრიტიკული საინფორმაციო პოლიტიკის მქონე მედიები იყვნენ.
- გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური ჟურნალისტების ლესბოსელებად ან გეებად მოხსენიება, მათ შორის სექსისტური, შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენებით, მათ პროფესიულ ან საზოგადოებრივ და პოლიტიკურ აქტივობასთან დაკავშირებით ხდებოდა. ორი მედია, რომელიც ამ მხრივ ყველაზე ხშირად იყო სამიზნე, ოპოზიციური „მთავარი არხი“ და საზოგადოებრივი მაუწყებელი იყვნენ.
- სექსუალურ იდენტობაზე მიკუთვნებულობა და ჰომოფობიური შეფასებები როგორც ნიკა გვარამიას პატიმრობიდან გათავისუფლებას, ასევე ტელევიზიების სარედაქციო პოლიტიკას უკავშირდებოდა; მსგავსი ტენდენცია გამოიკვეთა საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაშიც, რომლის გენერალური დირექტორი სამიზნე სერიალში ლესბოსელი იდენტობის პერსონაჟის გამო გახდა.
- სამოქალაქო პროტესტის დისკრედიტაციის მიზნით მეტწილად ჰომოფობიური დეზინფომაცია ვრცელდებოდა; აქტივისტებთან ერთად ამ შინაარსის ყალბი ამბები წიგნის გამომცემლობასაც შეეხო, რაც მხატვრული ნაწარმოების შინაარსით იყო განპირობებული და თან სდევდა დისკრედიტაციის კამპანია და განცხადებები „ლგბტ პროპაგანდაში“ ჩართულობის შესახებ, მათ შორის პრემიერ-მინისტრის მხრიდანაც.

1. ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები

მონიტორინგის პერიოდში (1 იანვარი – 30 ივნისი, 2023) ფაქტების გადამოწმების პლატფორმამ „მითების დეტექტორი“ გამოავლინა 42 გენდერული დეზინფორმაცია, რომელთაგან 24 ჰომოფობიური შინაარსის იყო, 18 კი სექსისტურ, ან ქალებზე მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის მახასიათებლებს შეიცავდა.

როგორც ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე ჩანს, როგორც ჰომოფობიური (13), ასევე გენდერული იდენტობის ნიშნით (8) გამოვლენილი შემთხვევების უმრავლესობაში (21) სამიზნე დასავლეთი იყო; უკრაინის შემთხვევაში კი ძირითადად ჰომოფობიური (4) შინაარსის დეზინფორმაცია ვრცელდებოდა, სლატშეიმინგის ერთი შემთხვევა უკავშირდებოდა უკრაინის პირველ ლედის, ოლენა ზელენსკას (1), რომლის მიმართაც მსგავსი მეთოდებით გაყალბებული ვიზუალი 2022 წელსაც ვრცელდებოდა; ქართველი ქალი პოლიტიკოსების და პოლიტიკოსებთან დაკავშირებული პირების წინააღმდეგ ძირითადად სლატშეიმინგის და მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის მაგალითები (4) გამოიკვეთა; ჟურნალისტების შემთხვევაში კი ადგილი ჰქონდა, როგორც ჰომოფობიური შინაარსის პოსტების გავრცელებას (2), ასევე ქალი ჟურნალისტების მიმართ სლატშეიმინგს (2); სამოქალაქო აქტივისტების და წიგნის გამომცემლობის შემთხვევაში ჰომოფობიური დეზინფორმაცია (3) ვრცელდებოდა, ერთ შემთხვევაში კი Gen-Z თაობის მორალური დისკრედიტაციის მიზნით ვიდეომანიპულაცია გავრცელდა.

დიაგრამა 1. გენდერული დეზინფორმაცია სამიზნეების მიხედვით



სამიზნეები	ჰიბრიდული დეზინფორმაცია /მანიპულაცია	სექსისტური დეზინფორმაცია / მორალური კრიტერიუმებით მანიპულაცია
დასავლეთი	13	8
უკრაინა	4	1
ქართველი პოლიტიკოსები და დაკავშირებული პირები		4
ჟურნალისტები	2	2
სამოქალაქო აქტივისტები / წიგნის გამომცემლობა	3	1
სხვადასხვა	2	2

ქვემოთმოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ დასავლეთის და უკრაინის წინააღმდეგ გავრცელებული იდენტური შინაარსის დეზინფორმაციის/მანიპულაციის წყაროები ხშირად როგორც რუსული, ასევე ქართული საკომუნიკაციო არხები ერთდროულად იყვნენ, ხოლო გავრცელების პირველწყარო მეტწილად რუსულენოვანი იყო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქართულ საინფორმაციო ველში, უპირველესად სოციალურ ქსელებში, გავრცელებული ანტიდასავლური და ანტიუკრაინული პროპაგანდისტული დეზინფორმაცია სათავეს რუსეთიდან იღებს. მხოლოდ ქართულენოვანი წყაროები კი ადგილობრივი აქტორების – ჟურნალისტების, პოლიტიკოსების, სამოქალაქო აქტივისტებისა და სხვა პირების წინააღმდეგ ყალბი შინაარსის გავრცელების დროს ფიგურირებდნენ.

ცხრილი 1. გენდერული დეზინფორმაციის წყაროები ქვეყნების მიხედვით

	ჰიბრიდული დეზინფორმაცია / მანიპულაცია			სექსისტური დეზინფორმაცია / მორალური კრიტერიუმებით მანიპულაცია		
სამიზნეები / წყაროები	ქართული წყარო	რუსული წყარო	ორივე	ქართული წყარო	რუსული წყარო	ორივე
დასავლეთი	5	2	6	5	1	2
უკრაინა	1		3			1
ქართველი პოლიტიკოსები და დაკავშირებული პირები				4		
ჟურნალისტები	2			2		
სამოქალაქო აქტივისტები / წიგნის გამომცემლობა	3					1
სხვადასხვა	2			2		

დარღვევის ტიპოლოგიიდან ყველაზე ხშირად ფოტოფაბრიკაცია ან მანიპულაცია (16) გამოიყენებოდა, რასაც დეზინფორმაციის არავიზუალური ფორმები (13) მოსდევს. ვიდეომანიპულაციას/ ფაბრიკაციას 8 შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, გაყალბებული ციტატის გავრცელებას კი – 2 შემთხვევაში.

2. დეზინფორმაცია დასავლეთის წინააღმდეგ

დასავლეთის წინააღმდეგ გავრცელებული გენდერული დეზინფორმაცია/მანიპულაციური შინაარსიდან (21) როგორც ჰომოფობიურ (13), ასევე სექსისტურ/მორალური კრიტერიუმებით (8) თავდასხმის მაგალითებს ვხვდებით.

ყველაზე მეტი ანტიდასავლური მასალა ბავშვებსა და მათ სექსუალურ განათლებას (7) ეხებოდა, რასაც დასავლელი პოლიტიკოსების (6) წინააღმდეგ გავრცელებული ყალბი შინაარსი მოსდევდა; ანტიდასავლური დეზინფორმაციის ნაწილი იდენტობის დაკარგვას (6) და მართლმსაჯულების (2) საკითხებს შეეხებოდა.

2.1. ბავშვები და სექსუალური განათლება

ბავშვებთან და მათ სექსუალურ განათლებასთან დაკავშირებული დეზინფორმაციული/მანიპულაციური შინაარსი შემდეგ გზავნილებს ამკვიდრებდა:

- დასავლეთში პედოფილიის ლეგიტიმაცია ხდება;
- დასავლურ სკოლებში სექსუალური განათლება = გარყვნილებას;
- დასავლეთში გენდერული იდენტობის შეცვლა მშობლების ნებართვის გარეშე ხდება;
- ჰომოსექსუალობის მიუღებლობის გამო დასავლეთში კონსერვატიულ ოჯახებს ბავშვებს ართმევენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ერთ-ერთი დეზინფორმაცია[5] ევროინტეგრაციასთან იყო დაკავშირებული, როდესაც კადრი პორნოგრაფიული ფილმიდან გერმანიაში სექსის გაკვეთილად იყო წარმოჩენილი და **მცდარი დილემის ტექნიკის** გამოყენებით ამკვიდრებდა აზრს, რომ თუ ევროპასთან „ასოცირება“ სექსის გაკვეთილების დანერგვას ითვალისწინებს, ასეთი ევროპა საქართველოსთვის მიუღებელი იყო.

5 მითების დეტექტორი, „სექსოლოგიის გაკვეთილი გერმანიაში თუ კადრი პორნოგრაფიული ვიდეოდან?“ 1 თებერვალი, 2023 https://mythdetector.ge/ujp4

მცდარი დილემის ტექნიკა ანუ შავ-თეთრი აზროვნების ტექნიკა გულისხმობს მხოლოდ ორი ალტერნატივის დასახვას და ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭებას

პედოფილიასთან დაკავშირებული თემები ორ შემთხვევაში რომის პაპის წინააღმდეგ იყო მიმართული, ერთ შემთხვევაში – გაეროსი. ბავშვებისა და სექსუალური განათლების თემაზე სხვა დეზინფორმაციული შინაარსის სამიზნეები კი ვატიკანთან ერთად გერმანია, დიდი ბრიტანეთი, აშშ და ბელგია იყვნენ.

აღსანიშნავია, რომ ბავშვებთან და მათ სექსუალურ განათლებასთან დაკავშირებული თემატიკის მასალების პირველწყარო ხშირად რუსული მედია იყო, განსაკუთრებით პედოფილიის თემებზე და სოციალური ქსელების გარდა, ისეთი პროპაგანდისტული რუსული არხებით ვრცელდებოდა, როგორებიცაა გაზეთი Известия, რუსი პროპაგანდისტის ვლადიმერ სოლოვიოვის გადაცემა[6] და სხვა. ამასთანავე ქართულ სოციალურ ქსელებში ამ თემებზე გავრცელებული ზოგიერთი მასალა ძველი რუსული პუბლიკაციების (Экспресс газета, 2020) შინაარსს იმეორებდა.

რუსულენოვანი მასალები ანტიდასავლური შინაარსის ისეთი სათაურებით ვრცელდებოდა, როგორიცაა:

- ИЗВЕСТИЯ: „გარყვნილების აღლუმი: ევროპა ავლენს ლმობიერებას მოძალადეებისა და პედოფილების მიმართ“[7].
- ЭКСПРЕСС ГАЗЕТА: „რომის პაპი პედოფილების უნიფორმაში“[8].

6 Вечер с Владимиром Соловьевым, 30 აპრილი, 2023 https://bit.ly/451VO7N
7 Известия, Парад извращенцев: в Европе проявляют снисхождение к насильникам и педофилам, 22 აპრილი, 2023 https://bit.ly/3O9o1mf
8 Экспресс газета, Папа римский в униформе педофилов, 31 ივლისი, 2020 https://bit.ly/44A7zCF



სოციალური მედიის ინდივიდუალური ანგარიშების გარდა, საქართველოში რუსულენოვანი შინაარსის რეპლიკაციას კრემლისტური გამოცემები „ალტ-ინფო“, „საქართველო და მსოფლიო“, „სეზონი ტვ“ და სხვები ახდენდნენ. დასავლეთის მიმართ მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ კრიტიკული განცხადებების ზრდის პარალელურად კი ჰომოფობიურ თემებზე კაპიტალიზაციას ზოგჯერ სამთავრობო სარედაქციო პოლიტიკის „იმედიც“ ცდილობდა და ისეთივე მეთოდებს მიმართავდა, რასაც კრემლის სარედაქციო პოლიტიკასთან ახლოს მდგომი მედიები იყენებდნენ. მაგალითად, მტკიცებას, რომ კალიფორნიაში სქესის შეცვლა ბავშვებს მშობლების ნებართვის გარეშე შეუძლიათ, როგორც კრემლისტური „ალტ-ინფო“ და „საქართველო და მსოფლიო“, ასევე სახელისუფლებო ტელეკომპანია „იმედიც“ ერთნაირად ავრცელებდნენ (იხ. ცხრილი 2).

ALT-NEWS: „დასავლეთში პედოფილიის ნორმალიზებაზე აქტიური მუშაობა დაიწყეს“

SEZONI TV: „შიშველი მასწავლებლები ქართულ სკოლებში“

იმედის კვირა: „ბერლინში LGBTQ ბაღი იხსნება“.

ალტ-სიახლე: კონგრესმენი ტროი ნელსი – კალიფორნიის ექიმებს ახლა შეუძლიათ ბავშვებს სხვა შტატებიდან „სექსის შეცვლის“ ოპერაცია მშობლების თანხმობის გარეშე ჩაუტარონ. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ლიბერალურ მსოფლიო წესრიგში.

აღსანიშნავია, რომ ონლაინ გამოცემა „საქართველო და მსოფლიოს“ სტატია[9], რომელიც შეიცავდა მტკიცებას იმის შესახებ, რომ ამერიკაში ბავშვების სქესის შეცვლა მშობლების ნებართვის გარეშე შეუძლიათ, რუსული გამოცემა Свободная Пресса[10]-ს სტატიის პირდაპირ თარგმანს წარმოადგენდა.



СВОБОДНАЯ ПРЕССА: Дети правят миром — а кто правит детьми?

საქართველო და მსოფლიო: მსოფლიოს მართავენ ბავშვები, ვინ მართავს ბავშვებს?

9 საქართველო და მსოფლიო, მსოფლიოს მართავენ ბავშვები, ვინ მართავს ბავშვებს? 11 მარტი, 2023. https://bit.ly/44JBAjr

10 Александр Широкорад, Свободная Пресса. Дети правят миром — а кто правит детьми? 9 მარტი, 2023 https://bit.ly/44HhxCp

ცხრილი 2. ბავშვებთან და მათ სექსუალურ განათლებასთან დაკავშირებული დეზინფორმაცია/მანიპულაციური შინაარსი

მტკიცება	სამიზნე	დარღვევის ტიპი	ქართული წყაროები	რუსული და სხვა წყაროები
მზავნილი: დასავლეთში პედოფილიის ლეგიტიმაცია ხდება				
არასრულწლოვანის თანხმობის შემთხვევაში გაერო არასრულწლოვანთან სექსუალური ურთიერთობის დეკრიმინალიზაციას გეგმავს, რაც პედოფილიის ნორმალიზების წინაპირობაა[11]	გაერო	მანიპულაცია	**კრემლის-ტური:** შოთა მარტინენკო, ალტ-ინფო/ კონსერვატი-ული მოძრაობა	Известия
პაპ ფრანცისკეს მოსასხამზე „ბიჭების მოყვარული პედოფილების“ სიმბოლო ჩანს[12]	რომის პაპი	კონსპირაცია	მომღერალი ეკა კვალიაშვი-ლის და სხვა ინდ. FB ანგა-რიში (2)	Экспресс Газета, dzen.ru
პაპმა განაცხადა, რომ პედოფილია იდუმალი დაავადებაა და ღმერთს პედოფილები უყვარს[13]	რომის პაპი	გაყალბებული ციტატა		რუსული FB ანგარიშები (7)
მზავნილი: დასავლურ სკოლებში სექსუალური განათლება = გარყვნილებას				
ფოტო შიშველი ადამიანებით გერმანიაში ბელგიის მსგავსს სექსის გაკვეთილს ასახავს[14]	გერმანია, ბელგია	ფოტომანიპუ-ლაცია/დეზინ-ფორმაცია	**კრემლისტური** ალტ-ინფოს მხარდამჭერი ანონიმური FB ანგარიში სოსო სევერა	
დიდ ბრიტანეთში სკოლებში შიშველი კაცები და ქალები შეჰყავთ[15]	დიდი ბრიტანეთი	ვიდეომანიპუ-ლაცია	**კრემლისტური:** სეზონი ტვ, ნიკოლოზ მუავანაძე, FB ანგარიშები: „მსოფლიო პოლიტიკა“, ლიბერასტების რისხვა, შიინ ევროპისკენ, სხვა (7)	

11 ანი ქისტაური, მითების დეტექტორი, „ითხოვს თუ არა გაერო არასრულწლოვანთან სექსუალური კავშირის დეკრიმინალიზაციას?“ 25 აპრილი, 2023.
https://mythdetector.ge/rk1e

12 მითების დეტექტორი, „პაპი ფრანცისკეს მოსასხამზე შეთქმულების თეორია ვრცელდება“, 17 მარტი, 2023
https://mythdetector.ge/ka/papi-prantsiskes-mosaskhamze-shethqmulebis-theoria-vrtseldeba/

13 დავით რობაქიძე, მითების დეტექტორი, „რა განცხადება ვრცელდება პაპის სახელით პედოფილიის შესახებ და რა თქვა მან რეალურად?“ 6 მარტი, 2023.
https://mythdetector.ge/cu9y

14 მითების დეტექტორი, „სექსოლოგიის გაკვეთილი გერმანიაში თუ კადრი პორნოგრაფიული ვიდეოდან?“ 1 თებერვალი, 2023
https://mythdetector.ge/ujp4

15 მითების დეტექტორი, „ვიდეომანიპულაცია, თითქოს დიდი ბრიტანეთის სკოლებში მოსწავლეებთან შიშველი მამაკაცები შეჰყავთ“ 24 აპრილი, 2023
https://mythdetector.ge/nfmc

ᲗᲔᲛᲐ: ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ ᲒᲔᲜᲓᲔᲠᲣᲚᲘ ᲘᲓᲔᲜᲢᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲮᲓᲔᲑᲐ				
კალიფორნიაში ბავშვებისთვის სქესის შეცვლის ოპერაცია მშობლის თანხმობის გარეშე შეიძლება[16]	აშშ	დეზინფორ-მაცია	**სახელისუფ-ლებო:** ტვ იმედი; **კრემლისტური:** ალტ-ინფო, საქართველო და მსოფლიო **ემიგრანტების გამოცემა:** nostal.ge (მა-სალა ეყრდნო-ბოდა „იმედის“ სიუჟეტს)	Свободная пресса
ᲗᲔᲛᲐ: ᲰᲝᲛᲝᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲦᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲐᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ ᲐᲠᲗᲛᲔᲕᲔᲜ				
გერმანიაში პოლიციამ ოჯახს ბავშვი იმის გამო ჩამოართვა, რომ მას რელიგიურ ნიადაგზე ჰომო-სექსუალობის და ტრანსგენდერობის მიუღებლობას ასწავლიდნენ[17]	გერმანია	ვიდეომანიპუ-ლაცია/დეზინ-ფორმაცია	**კრემლისტური:** FB გვერდი „გალა“, ინდ. FB ანგა-რიშები (16)	Вечер с Владимиром Соловьевым, ТРК “Путь” им. А-Х. Кадырова, TRT на русском (50)

2.2. ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ

დასავლელი პოლიტიკოსების წინააღმდეგ გავრცელებული გენდერული დეზინფორმაციიდან 5 ქალ პოლიტიკოსს შეეხებოდა, 1 – კაცს და ჰომოფობიური შინაარსის იყო. ქალების წინააღმდეგ დეზინფორმაციიდან 1 სლატშეიმინგის ხასიათს ატარებდა, 4 კი მორალური კრიტერიუმებით გა-კიცხვას ისახავდა მიზნად.

სლატშეიმინგის შემთხვევა, რა დროსაც ფოტომანიპულაციის ხერხს მიმართს, გერმანიის საგა-რეო საქმეთა მინისტრს ანალენა ბერბოკს ეხებოდა. რუსულმა პროპაგანდისტულმა გამოცემებ-მა, მათ შორის Eurasia Daily[18]-მ და სოციალური ქსელების სხვადასხვა ანგარიშებმა გაავრცელეს ფოტო, რომელზეც ამტკიცებდნენ, რომ მასზე წარსულში პროფესიული მეძავეობით დაკავებული ანალენა ბერბოკი იყო გამოსახული. ფოტოს გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ რეალურად ვიზუალი რუს პორნო მოდელს, მარტინა მინკიას ასახავდა. საქართველოში აღნიშნული დეზინ-

16 მითების დეტექტორი, „იმედის“ და „ალტ-ინფოს“ დეზინფორმაცია, თითქოს კალიფორნიაში ბავშვებისთვის სქესის შეცვლის ოპერაცია მშობლის თანხმობის გარეშე შეიძლება, 26 იანვარი, 2023 https://mythdetector.ge/zsw0
ნუცა ძანძავა, СВОБОДНАЯ ПРЕССА-ს 3 დეზინფორმაცია ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე, 17 მარტი, 2023 https://mythdetector.ge/19n0

17 ქეთი ხუციშვილი, მითების დეტექტორი, “გერმანიის პოლიციის მიერ ოჯახისათვის ბავშვის ჩამორთმევის მიზეზებზე დეზინფორმაცია ვრცელდება”, მითების დეტექტორი, 1 მაისი, 2023 https://mythdetector.ge/ka/germaniis-politsiis-mier-ojakhisathvis-bavshvis-chamorthmevis-mizezebze-dezinphormatsia-vrtseldeba/

18 Eurasia Daily, «Была проституткой!» — на сербском телевидении промыли кости Анналене Бербок, 24 მარტი, 2023 https://bit.ly/450cAEr

ფორმაცია ბერბოკის თბილისში ვიზიტის შემდეგ ინდივიდუალური ფეისბუქ ანგარიშებით გავრცელდა, მათ შორის იყო ხელისუფლების მხარდამჭერი ლალი მოროშკინა, რომელიც ქალთა ორგანიზაცია „ძლიერი ქალი – ძლიერი სახელმწიფოს“ ხელმძღვანელიც არის.



ფოტოზე გამოსახული შიშველი ქალი არა ანალენა ბერბოკი, არამედ რუსი პორნო მოდელი – მარტინა მინკია.

როგორც ქართულენოვანი, ასევე რუსულენოვანი სოციალური ქსელებით გავრცელდა პროგრამულად დამუშავებული ფოტო, რომელიც ამტკიცებდა, რომ ფინეთის პრემიერ-მინისტრის სანა მარინის ნარკოტიკების მოხმარების კადრს ასახავდა. ფოტოს თანმხლები წარწერა – „სანა მარინმა გადაწყვიტა ზელენსკის დაემსგავსოს“ – პოლიტიკოსის მორალური კრიტერიუმებით განსჯას ისახავდა მიზნად. აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის პირველწყარო სატირული რუსული ტელეგრამ-არხი Политический Юмор იყო.





ესტონეთის პრემიერ-მინისტრის კაია კალასის ბაბუის ნაცისტური წარსულის შესახებ დეზინფორმაცია რუსეთის პირველმა არხმა[19] და სოციალური მედიის სხვადასხვა რუსულენოვანმა ან-

19 Первый канал: Куклы наследника Тутти, 17 მაისი, 2023 https://www.1tv.ru/shows/kukly-naslednika-tutti

გარიშებმა გაავრცელეს, ხოლო ევროპარლამენტარ ფონ კრამონის ნაცისტების შთამომავლობაზე – ქართულმა კრემლისტურმა TV სეზონმა. ეს უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ ევროპარლამენტარი საქართველოში იმის განსახორციელებად ჩამოდის, რასაც მისი წინაპრები კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადიოდნენ.

1 არხის გადაცემაში აჩვენეს ფოტო, რომელიც, სტუმრის მტკიცებით, კაია კალასის დედის მხრიდან ბაბუას ასახავდა და ის ნაცისტებთან თანამშრომლობდა. რეალურად, ფოტოზე არა კალასის დედის მამა, არამედ მისი მამის, სიიმ კალასის ბაბუა, ედუარდ ალვერია ასახული, რომელიც ესტონეთის დემოუკიდებლობის ომში თავდაცვის ლიგის ხელმძღვანელი იყო და 1939 წელს, ნაცისტურ ოკუპაციამდე 2 წლით ადრე გარდაიცვალა.

აღსანიშნავია, რომ ფონ კრამონი მორალური ნიშნით გაკიცხვის ობიექტი მას შემდეგ გახდა, რაც ის საქართველოში ოპოზიციის მხარდასაჭერ აქციაზე იმყოფებოდა და დემოკრატიის უკუსვლასთან დაკავშირებით კრიტიკული შეფასებები გააკეთა. მეორე დეზინფორმაცია, რომელიც მის წინააღმდეგ ფეისბუქზე სხვადასხვა ქართულენოვანმა ანგარიშებმა გაავრცელეს, წარმოადგენდა პროგრამულად დამუშავებულ ვიდეოს, რომელშიც ნასვამი ქალის ვიზუალში ფონ კრამონის სახე იყო ჩასმული. მოგვიანებით იგივე ანგარიშმა არაყის ბოთლის სურათზე დაკრული კრამონის გაყალბებული გამოსახულება, წარწერით, „ცნობილი ლოთი ვიოლა ფოლკ რამონი საკუთარი ბრენდის არაყის გამოშვებას გემავს“ გაავრცელა.

ვიდეო, რომელშიც ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ქალია ასახული, პროგრამულადაა დამუშავებული და მასში ვიოლა ფონ კრამონის სახეა ჩასმული. ორიგინალ ვიდეოში ქალი, სახელად ნიკოლია ასახული, რომელიც თავის საქორწინო წვეულებაზე იმყოფება.

როგორც ქვემოთმოცემულ ცხრილში ჩანს, რუსულენოვანი წყაროების სამიზნე მეტწილად გერმანიის, ფინეთის და ესტონეთოს მაღალი რანგის პოლიტიკური თანამდებობის პირი ქალები იყვნენ და იმავე დეზინფორმაციას ფეისბუქის ქართულენოვანი ანგარიშები აზიარებდნენ. ევროპარლამენტარ ვიოლა ფონ კრამონის შემთხვევაში კი, რომელიც საქართველოში დემოკრატიულ პროცესებს კრიტიკულად აფასებს, ყალბი ინფორმაციის და ვიზუალური ფაბრიკაციის წყარო ქართული კრემლისტური ტელევიზია და ულტრამემარჯვენე ფეისბუქ ანგარიშები იყვნენ.

ცხრილი 3. გენდერული დეზინფორმაცია დასავლელი ქალი პოლიტიკოსების წინააღმდეგ

მცდელობა	სამიზნე	დარღვევის ტიპი	ქართული წყაროები	რუსული წყაროები
დასავლეთელი ქალი პოლიტიკოსების წინააღმდეგ				
გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ანალენა ბერბოკი წარსულში პროფესიონალი მეძავი იყო[20]	გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ანალენა ბერბოკი	ფოტომანიპულაცია/სლატ-შეიმინგი	**ხელისუფლების მხარდამჭერი:** ლალი მოროშკინა, ქალი და საზოგადოება, ინდ. FB ანგარიშები (5)	eadaily.com; rf-smi.ru fb ჯგუფები: "Вагончик тронется, вагончик тронется... перрон останется..." ინდ. FB, vk, ტელეგრამ ანგარიშები (20)
ფინეთის პრემიერ-მინისტრი სანა მარინი ნარკოტიკებს მოიხმარს[21]	ფინეთის პრემიერ-მინისტრი სანა მარინი	ფოტოფაბრიკაცია/მორალური გაკიცხვა	ინდ. FB ანგარიში	ტელეგრამ არხი: Политический Юмор, fishki.net, vk (2)
ესტონეთის პრემიერ-მინისტრის კაია კალასის ბაბუა ჰიტლერის მომხრეებს საკონცენტრაციო ბანაკებში ებრაელების და სხვების განადგურებაში ეხმარებოდა[22]	ესტონეთის პრემიერ-მინისტრი კაია კალასი	დეზინფორმაცია/მორალური გაკიცხვა		რუსეთის პირველ არხი, გადაცემა КУКЛЫ НАСЛЕДНИКА ТУТТИ, ფბ, ტელეგრამ და vk ანგარიშები (6)

20 მითების დეტექტორი, „ვინ არის გამოსახული ფოტოზე – გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი თუ რუსი პორნო მოდელი?" 28 მარტი, 2023 https://mythdetector.ge/r73v

21 მითების დეტექტორი, „ფეისბუქზე სანა მარინის პროგრამულად დამუშავებული ფოტო ვრცელდება", 7 მარტი, 2023 https://mythdetector.ge/rjyc

22 ქეთი ხუციშვილი, მითების დეტექტორი, კრემლის პროპაგანდისტების დეზინფორმაცია ესტონეთის პრემიერ-მინისტრის წინაპრების შესახებ, 23 მაისი, 2023 https://mythdetector.ge/dgnv

ევროპარლამენტარ ფონ კრამონის ლუფტვაფეს რაიხსმარშლის ჰერმან გერინგის შთამომავალია[23]	ევროპარ-ლამენტარი ვიოლა ფონ კრამონი	დეზინფორმა-ცია/მორალუ-რი გაკიცხვა		**კრემლისტური:** TV სეზონი, დიტო ჩუბინიძე (3)
ვიდეო/ფოტო ცნობილ ლოთს ვიოლა ფონ კრამონს ასახავს[24]	ევროპარ-ლამენტარი ვიოლა ფონ კრამონი	ვიდეოფაბრი-კაცია/მორა-ლური გაკიცხვა	ქართველი ქართველი, გიორგი იბერიელი (3)	

ჰომოფობიური შინაარსის ვიზუალური მანიპულაცია ხელოვნური ინტელექტით იყო გენირებული ამერიკის პრეზიდენტის შემთხვევაში და ჭრელ საცურაო კოსტიუმში გამოწყობილ ჯო ბაიდენს ასახავდა. ფოტოფაბრიკაცია სარკასტული კომენტარით „ამერიკის ტრანსგენდერები ერის სიამაყეა“ ვრცელდებოდა.

AI გენერირებული ფოტო

ცხრილი 4. ჰომოფობიური დეზინფორმაცია აშშ-ს პრეზიდენტის წინააღმდეგ

მტკიცება	სამიზნე	დარღვევის ტიპი	ქართული წყაროები
დასავლელი კაცი პოლიტიკოსის წინააღმდეგ			
ამერიკის პრეზიდენტი ტრანსგენდერების მხარდასაჭერად საცურაო კოსტიუმში[25]	ჯო ბაიდენი	ხელოვნური ინტელექტით გენერირებული ფოტო	**კრემლისტური:** „შიინ ევროპისკენ“, ინდ FB ანგარიშები (5)

23 მითების დეტექტორი, დეზინფორმაცია, თითქოს ვიოლა ფონ კრამონი ჰერმან გერინგის შთამომავალია, 13 აპრილი, 2023 https://mythdetector.ge/dnof

24 დავით რობაქიძე, მითების დეტექტორი, „ფეისბუქზე ევროპარლამენტარ ვიოლა ფონ კრამონის დამონტაჟებული ვიდეო ვრცელდება“, 4 აპრილი, 2023 https://mythdetector.ge/5r5e

25 მითების დეტექტორი, „სოციალურ ქსელში ჯო ბაიდენის ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ფოტო ვრცელდება“, 27 აპრილი, 2023 https://mythdetector.ge/t3hm

2.3. იდენტობის დაკარგვა

როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, ტრადიციული იდენტობის დაკარგვის თემაზე დეზინფორმაციული მასალები მეტწილად ჰომოფობიური ხასიათის იყო და ევროკავშირის წინააღმდეგ იყო მიმართული. ერთ შემთხვევაში დეზინფორმაციის გასავრცელებლად უნგრეთის პრემიერის ჰომოფობიური განწყობები იყო გამოყენებული. გავრცელებული ინფორმაცია ამტკიცებდა, რომ ევროპის მიერ ტრადიციული იდენტობის დაკარგვის გამო, უნგრეთი ევროკავშირს ტოვებდა. მისი ეს სიტყვები სატირული გამოცემის მიერ იყო გამოგონილი და ქართულენოვანი კრემლისტური ფეისბუქ ანგარიშებისა და რუსული და მოლდოვური პლატფორმებით როგორც რეალური ამბავი, ისე გავრცელდა.



სატირული პირველწყარო: panorama.pub

როგორც რუსული, ასევე ქართული ფეისბუქ ანგარიშებით გავრცელდა ფოტოფაბრიკაცია, წარწერით „ევროპული ღირებულებები ერთ ფოტოში“, რომელზეც უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი, ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი და ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი სამი ხელისა და მამაკაცის სასქესო ორგანოს მქონე ქალის ქანდაკების ფონზე ფოტოშოპის შედეგად აღმოჩნდნენ.



გაყალბებული ფოტო	ავთენტური ფოტო

გერმანული გამოცემა Eulenspiegel-ის გაყალბებული გარეკანი კი რუსულენოვანი ფეისბუქ ანგარიშებით გავრცელდა და ამტკიცებდა, რომ ერთ მხარეს ჰომოსექსუალთა მიერ ოლიმპიური რგოლების გადაქაჩვა და მეორე მხარეს, აზოველებისა და უკრაინელი მებრძოლების მხრიდან, ორ თანამედროვე ევროპულ ტენდენციას ასახავდა.

Eulenspiegel-ის გაყალბებული გარეკანი

ხელოვნური ინტელექტით გენერირებული ფოტო კი საქართველოში „მართლმადიდებელმა გვერდმა“ როგორც რეალური გაავრცელა და ამტკიცებდა, რომ ვიზუალი უცხოეთში მართლ-მადიდებელ ეკლესიას ასახავდა, ლგბტ პროპაგანდასთან შეგუების შემთხვევაში კი, საქართვე-ლოს ისეთივე ბედი ელოდა, როგორც სურათზე იყო გამოსახული (ცეცხლი და ლგბტქი დროშების ფრიალი ეკლესიაში).

AI გენერირებული ფოტო

იდენტობის დაკარგვის თემაზე ჰომოფობიური შინაარსის სამიზნე ყველაზე ხშირად ევროკავში-რი/ევროპა და მათთან ერთად ორ შემთხვევაში ირიბად უკრაინაც იყო. წყაროები კი მეტწილად ქართულენოვანი კრემლისტური გამოცემები და ფეისბუქ ანგარიშები; რუსულენოვან წყაროებში დონეცკის, გაგაუზიის, მოდლოვის და კრასნოიარსკის სხვადასხვა პლატფორმები ფიგურირებდ-ნენ.

ცხრილი 5. დეზინფორმაცია, რომელიც იდენტობის დაკარგვის საფრთხეს შეეხება

მტკიცება	სამიზნე	დარღვევის ტიპი	ქართული წყაროები	რუსული და სხვა წყაროები
იდენტობის დაკარგვის საფრთხე				
ვიქტორ ორბანმა განაცხადა, რომ უნგრეთი ევროპული ოჯახის ნაწილი იყო, თუმცა ის „ლგბტ“ ოჯახი აღმოჩნდა, რის გამოც ევროკავშირს ტოვებს[26]	ევროკავშირი	გაყალბებული ციტატა/სატირა	კრემლისტური „პატრიორტთა ალიანსის“ მხარდამჭერი FB გვერდები: publicist.ge, პატრიოტები, კონსერვატიული მოძრაობა ზუგდიდი, ინდივ. FB ანგარიშები (17)	youtube არხი – Чистый Лист TV, Донецкое общественно-политическое сетевое издание trmzk.ru, Moldova Chișinău, Независимый Красноярск 24rus.ru, Новости Гагаузии vatan.md, ინდ. FB ანგარიშები (39)
ვოლოდიმირ ზელენსკი, შარლ მიშელი და ურსულა ფონ დერ ლაიენის ფოტო მამაკაცის სასქესო ორგანოს მქონე ქალის ქანდაკების ფონზე[27]	ევროკავშირი/ უკრაინა	ფოტოფაბრიკაცია	**კრემლისტური:** ru.gruzinform.ge, ინდ. FB ანგარიშები (3)	ინდ. FB ანგარიშები (3)
გერმანული სატირული ჟურნალის Eulenspiegel-ის გაყალბებული გარეკანი, რომელზეც ხუთ ოლიმპიურ რგოლს ერთ მხარეს ლგბტქ+ დროშით მამაკაცები ექაჩებიან, ხოლო მეორე მხარეს უკრაინის დროშის ფერებში გამოწყობილი პირები, ასევე ჯარისკაცი აზოვის ბატალიონის სიმბოლოთი[28].	ევროპა/ უკრაინა	გაყალბებული გარეკანი		Злой Ёжик – ანონიმური ფბ ანგარიში, სხვა ფბ ანგარიშები (7)
ფოტო, რომელზეც ეკლესიის წინ ცეცხლი ანთია და ხალხი ლგბტქი დროშებით ჩანს, ავტორის მტკიცებით, უცხოეთის მართლმადიდებლურ ტაძარს ასახავს, საქართველოს კი იგივე ბედი ელის[29]	დასავლეთი	AI ხელოვნური ინტელექტით გენერირებული ფოტო	მართლმადიდებლური გვერდი	
გერმანიაში სიტყვის „დედა“ ტერმინით „მშობიარე პირი“ ჩანაცვლება კანონმდებლობის დონეზე განიხილება, ხოლო გერმანულმა მედიამ სიტყვა „დედა“ აკრძალა[30]	გერმანია	დეზინფორმაცია	**კრემლისტური** FB ანგარიშები: Ermile Nemsadze, ირაკლი ზაქარეიშვილი (2)	

26 ანი ქისტაური, მითების დეტექტორი, „განაცხადა თუ არა ორბანმა, რომ ევროკავშირს ტოვებს?“ 9 იანვარი, 2023. https://mythdetector.ge/ka/ganatskhada-thu-ara-orbanma-rom-evrokavshirs-tovebs/

27 პოლინა კულიში, მითების დეტექტორი, „ფეისბუქზე ზელენსკის, მიშელისა და ფონ დერ ლაიენის პროგრამულად დამუშავებული ფოტო ვრცელდება“, 30 მაისი, 2023 https://mythdetector.ge/yt1v

28 დავით რობაქიძე, მითების დეტექტორი, გერმანული და პოლონური გამოცემების სახელით გაყალბებული გარეკანის ფოტოები ვრცელდება, 8 თებერვალი, 2023 https://mythdetector.ge/0i4m

29 მარიამ ტალახაძე, მითების დეტექტორი, „მართლმადიდებლური ტაძარი უცხოეთში თუ ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ფოტო?“ 18 აპრილი, 2023 https://mythdetector.ge/o6ys

30 თინა თვაური, მითების დეტექტორი, „ჩანაცვლდა თუ არა გერმანიაში სიტყვა „დედა“ ტერმინით „მშობიარე პირი“?“ 10 აპრილი, 2023 https://mythdetector.ge/2nvu

ვიდეოს, რომელზეც ჩანს, რომ შერიფს ცისარტყელას ფერის წინდები აცვია, ფბ წყაროს მტკიცებით, ამერიკის რეალობას ასახავს[31]	აშშ	ვიდეომანიპულაცია	**კრემლისტური:** სეზონი TV, ინდ. FB ანგარიშები (3)	

2.4. მართლმსაჯულება

დასავლურ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული მცდარი ინფორმაცია კი, როგორც ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს, ერთ შემთხვევაში ენდრიუ ტეიტის დაპატიმრების საფუძველს ეხებოდა, რასაც სპორტსმენის ფემინიზმთან ბრძოლას და მასკულინობას უკავშირებდნენ, მეორე შემთხვევაში კი ქალთა მიმართ ძალადობის ისტორიის მქონე ტრანსგენდერი პატიმრის შესახებ გავრცელებულ მცდარ ცნობებს, თითქოს ის შოტლანდიაში ქალთა ციხეში მისივე მოთხოვნით გადაიყვანეს. პირველი მაგალითი ამკვიდრებდა აზრს, რომ კაცების მოძალადეებად წარმოჩენა მიზანმიმართულად ხდება და მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც გენდერული კონიუნქტურით არის განპირობებული და არა ჩადენილი დანაშაულით. აღნიშნული ტენდენცია 2022 წლის ანგარიშშიც გამოიკვეთა[32].

დასავლური მართლმსაჯულების თემაზე გავრცელებული ორივე დეზინფორმაცია ალტ-ინფო/კონსერვატიულ მოძრაობასა და მათ მედია პლატფორმას უკავშირდებოდა.

ცხრილი 6. მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული გენდერული დეზინფორმაცია

მტკიცება	სამიზნე	დარღვევის ტიპი	ქართული წყაროები
მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული გენდერული დეზინფორმაცია			
ტრანსგენდერი პატიმარი, რომელიც ბიოლოგიურად მამაკაცია და რომელიც წარსულში ციხის ქალ პერსონალზე ძალადობდა, ქალთა ციხეში გადაიყვანეს[33]	დიდი ბრიტანეთი	დეზინფორმაცია	**კრემლისტური:** ალტ-ინფო, პირველი წყარო: ამერიკული ულტრამემარჯვენე Breitbart-ი
ენდრიუ ტეიტი ფემინიზმთან ბრძოლისა და მასკულინობის გამო დააკავეს[34]	რუმინეთი	დეზინფორმაცია	გიორგი ქარდავა, ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა

31 მითების დეტექტორი, ვიდეომანიპულაცია, თითქოს ამერიკელ შერიფს შორტები და ცისარტყელას ფერის ფეხსაცმელი აცვია, 26 ივნისი, 2023 https://mythdetector.ge/xigk

32 თამარ კინწურაშვილი, თინა გოგოლაძე, მედიის განვითარების ფონდი (2023) ანტიგენდერული და ანტილგბტქი მობილიზება საქართველოში. https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/239

33 თინა თვაური, მითების დეტექტორი, ალტ-ინფო ტრანსგენდერი პატიმრის ქალთა ციხეში გადაყვანის შესახებ დეზინფორმაციას ავრცელებს, 3 თებერვალი, 2023 https://mythdetector.ge/vgfh

34 მარიამ ტალახაძე, მითების დეტექტორი, „ჭარბი მასკულინობა თუ გაუპატიურება და ტრეფიკინგი – რის გამო დააკავეს ენდრიუ ტეიტი?“ 18 იანვარი, 2023 https://mythdetector.ge/9xkd

3. დეზინფორმაცია უკრაინის წინააღმდეგ

უკრაინის წინააღმდეგ გავრცელებული დეზინფორმაცია/მანიპულაცია მეტწილად ჰომოფობიური შინაარსის იყო. ერთი მხრივ, ხდებოდა რუსეთ-უკრაინის ომში გაღებული მსხვერპლის ჰომოსექსუალობის უფლებებისთვის ბრძოლად მანიპულაციური წარმოჩენა; მეორე მხრივ, სკოლებში ლგბტქი საკითხების სწავლების დანერგვაზე დეზინფორმაციის ანტიამერიკულ კონტექსტში გავრცელება. როგორც რუსული, ასევე ქართული წყაროები ამტკიცებდნენ, რომ ამ მიმართულებით უკრაინას დახმარებას ამერიკა უწევდა. აღსანიშნავია, რომ დეზინფორმაციის წყარო მოცემულ შემთხვევაში კრემლის პროპაგანდისტულ პლატფორმა News-Front-თან ერთად, რომლის ანგარიშები მეტამ ფეისბუქიდან წაშალა, კონსტანტინე მალაფეევთან და ალექსანდრე დუგინთან დაკავშირებული Царьград ტვ-ს[35] სოცმედია ანგარიშიც იყო.

ЦАРЬГРАД: უკრაინაში სკოლებში გარყვნილების მიმართ ტოლერანტობას ნერგავენ: დახმარებას ამერიკიდან გაუწევენ[36]

NEWSFRONT: უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და ამერიკულმა ფონდმა „გენდერულად მგრძნობიარე სწავლების მეთოდების შესახებ“ მემორანდუმს მოაწერეს ხელი[37]

35 მითების დეტექტორი, Царьград-ის პროფილი https://mythdetector.ge/ka/profiles/tsargrad/

36 Царьград, На Украине внедряют толерантность к извращенцам в школах: Помощь окажут из США, 10 მაისი, 2023 https://bit.ly/471FIT7

37 NewsFront, Минобрнауки Украины и американский фонд подписали меморандум о “гендерно чувствительных методах обучения”, 11 მაისი, 2023 https://bit.ly/3OyjLOT

რუსული კონსერვატიული Царьград-ის გარდა, იგივე ინფორმაციას ეკლესიასთან დაკავშირებული ისეთი რუსული პლატფორმები ავრცელებდნენ, როგორიცაა მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირი (რუსულ[38] და ქართულ[39] ენებზე), საეკლესიო-სამეცნიერო ცენტრი „მართლმადიდებლური ენციკლოპედია“ (Седмица.RU)[40] და სხვანი.

ვიზუალური მანიპულაციის ორი შემთხვევა ჰომოფობიურ კონტექსტში ვრცელდებოდა, როცა ვიდეო უკრაინაში გეი პრაიდისა და ფოტო ევროპელი ფემინისტების მიერ უკრაინისთვის გაგზავნილი ვარდისფერი ტანკის შესახებ მცდარი აღწერით ვრცელდებოდა.

ვიდეო, რომელიც ამტკიცებს, რომ უკრაინაში გეი პრაიდს ასახავს, **რეალურად ესპანეთის ქალაქ სანტიაგო დე ლა რიბერას 2022 წლის კარნავალიდანაა**

ფოტო ტექსტით: „ევროპის ფემინისტებმა შეაგროვეს ფული უკრაინის ტანკისთვის. იგი ვარდისფრად შეღებეს, რადგან მწვანე ძალიან შეურაცხმყოფელი იყო, ხოლო ტანკს ლულა მოახერხეს, რადგან ზედმეტად სექსისტურად გამოიყურებოდა“.
რეალურად ვარდისფერი ტანკის ფოტო 2007 წელს მანჩესტერში გამართულ ღირსების მარშზეა გადაღებული და უკრაინასთან კავშირი არ აქვს.

38 Ярослав Нивкин, Союз православных журналистов, МОН и фонд США договорились о внедрении гендера в школы и сады, – источник, 11 მაისი https://bit.ly/3QI1K81

39 იაროსლავ ნივკინი, მართლმადიდებელ ჟურნალისტთა კავშირი, განათლებისა და კულტურის სამინისტრო და აშშ-ის ფონდი შეთანხმდნენ სკოლებსა და საბავშვო ბაღებში გენდერის დანერგვაზე, – წყარო, 11 მაისი, 2023 https://bit.ly/3O9VcpY

40 Седмица.RU, МОН Украины и фонд США договорились о внедрении гендера в школы и сады, 12 მაისი, 2023 https://bit.ly/3rNC3Tj

სლატშეიმინგის ერთი შემთხვევა, რუსული სოციალური ქსელებიდან გავრცელდა და უკრაინის პირველ ლედის, ოლენა ზელენსკას ეხებოდა. პოსტის ავტორის მტკიცებით, ფოტო ადასტურებდა, რომ სანამ ზელენსკი „ევროპაში იარაღს იხვეწებოდა“, მისი მეუღლე ისრაელში ნუდისტურ პლაჟზე შიშველი ისვენებდა. რეალურად ფოტო რუს ტელეწამყვანს ელენა ლენინას ასახავდა.



AVIA.PRO: როგორ ისვენებს ზელენსკის ცოლი შიშველი, სანამ მისი ქმარი ევროპაში იარაღს ითხოვს.
უკრაინის პირველი ლედის ახალი ფოტოები ისრაელში, ნუდისტურ სანაპიროზე დასვენებიდან 05/25/2023.
გავრცელებულ ფოტოზე არა ოლენა ზელენსკა, არამედ რუსი ტელეწამყვანი ელენა ლენინაა გამოსახული.

აღსანიშნავია, რომ უკრაინის პირველი ლედის შესახებ ფოტოები მცდარი აღწერით[41], თითქოს ის საცურაო კოსტიუმის გარეშე, შიშველი იყო გამოსახული, ხოლო ფოტოები ხაკერების მიერ იყო მოპოვებული, სოციალური ქსელის რუს და ქართველ მომხმარებლებში 2022 წელსაც ვრცელდე-

41 მითების დეტექტორი, დეზინფორმაცია, თითქოს ჰაკერებმა ოლენა ზელენსკას პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტო გაავრცელეს, 12 დეკემბერი, 2022 https://mythdetector.ge/zajy

ბოდა. კიდევ ერთი პროგრამულად დამუშავებული ვიზუალი, რომელშიც ოლენა ზელენსკა ძვირადღირებული ტანსაცმლით და აქსესუარებით იყო გამოსახული და 2022 წელს გავრცელდა, მის მორალურ გაკიცხვას ისახავდა მიზნად და იმის ილუსტრაციად იყო გამოყენებული, რომ ომის დროს ზელენსკების ოჯახი დონორების ხარჯზე მდიდრდებოდა[42].

ცხრილი 7. უკრაინასთან დაკავშირებული დეზინფორმაცია

მწკივება	სამიზნე	დარღვევის ტიპი	ქართული და სხვა წყაროები	რუსული და სხვა წყაროები
უკრაინასთან დაკავშირებული დეზინფორმაცია				
პოლონეთის სენატის ვიცე-სპიკერმა განაცხადა, რომ უკრაინელები ჰომოსექსუალობის უფლებისთვის იღუპებიან[43]	უკრაინა	მცდარი კონტექსტი	ქართული ფბ ანგარიში	Ukraina.ru, argumenti.ru, ინდ. FB ანგარიშები (7)
უკრაინის განათლების სამინისტრომ LGBTQI საკითხების სწავლებაზე The Arcus Foundation-თან მემორანდუმს მოაწერა ხელი[44]	უკრაინა	დეზინფორ-მაცია	სეზონი ტვ, მართლმა-დიდებლური გვერდი, მართ-ლმადიდებელ ჟურნალისტ-თა კავშირი, geworld.ge (6)	News-Front, Союз православных журналистов, Царьград, Седмица.ru, rusk.ru, dzen.ru, mriya.news, qna.center Telegram: MediaKiller (8)
ევროპელმა ფემინისტებმა ფული შეაგროვეს და უკრაინისთვის ტანკი შეიძინეს, რომელიც ვარდისფრად გადაღებეს[45]	უკრაინა/ ევროპა	ფოტომანიპუ-ლაცია	ქართული FB ანგარიშები	რუსული FB ანგარიშები, vk, ტელეგრამი (5)
ოლენა ზელენსკა ისრაელში, ნუდისტურ პლიაჟზე ისვენებს[46]	უკრაინა	ფოტომანიპუ-ლაცია	ინდ. FB ანგარიში	ДОНЕЦК – ВЕСТИ ДНР, dzen.ru, Avia.pro, telegram, twitter ანგარიშები (5)
ვიდეო ამტკიცებს, რომ უკრაინაში ჩატარებულ გეი პრაიდს ასახავს[47]	უკრაინა	ვიდეომანიპუ-ლაცია	შინ ევროპისკენ	

42 მითების დეტექტორი, ოლენა ზელენსკა თუ მილიონერი რიჩარდ ჰართი – ვინაა გამოსახული გაყალბებულ ფოტოზე? 9 იანვარი, 2023 https://mythdetector.ge/468y

43 არაბელა კორძახია, მითების დეტექტორი, კრემლის მედია პოლონელი პოლიტიკოსის ციტატას არასრული კონტექსტით ავრცელებს, 20 თებერვალი, 2023 https://mythdetector.ge/46ya

44 მითების დეტექტორი, დეზინფორმაცია, თითქოს უკრაინამ სკოლებში ლგბტ საკითხების სწავლების დანერგვაზე მემორანდუმს მოაწერა ხელი, 15 ივნისი, 2023 https://mythdetector.ge/JWVc

45 მითების დეტექტორი, ტანკი უკრაინისთვის თუ 2007 წლის მანჩესტერ პრაიდისთვის? 1 თებერვალი, 2023 https://mythdetector.ge/ka/tanki-ukrainisthvis-thu-2007-tslis-manchester-praidisthvis/

46 მითების დეტექტორი, ფოტომანიპულაცია, თითქოს ოლენა ზელენსკა ისრაელში ნუდისტურ პლაჟზე ისვენებს, 6 ივნისი, 2023 https://mythdetector.ge/oOrl

47 მითების დეტექტორი, პრაიდი უკრაინაში თუ კარნავალი ესპანეთში – რას ასახავს ვიდეო? 26 აპრილი, https://mythdetector.ge/ka/praidi-ukrainashi-thu-karnavali-espanethshi-ras-asakhavs-video/

4. ქართველი პოლიტიკოსების და მათთან დაკავშირებული პირების წინააღმდეგ

ქართველი პოლიტიკოსების და მათთან დაკავშირებული პირების წინააღმდეგ ძირითადად ვიზუალური მანიპულაცია გამოიყენებოდა, მეტწილად სლატშეიმინგის მიზნით, ხოლო ერთ შემთხვევაში მორალური კრიტერიუმებით თავდასხმას ჰქონდა ადგილი.

სლატშეიმინგის 3 შემთხვევიდან 1 საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს ეხებოდა, ერთი – პრეზიდენტ სააკაშვილის დედას, ხოლო ერთი – სააკაშვილის მთავრობის ეკონომიკის მინისტრ ვერა ქობალიას.

საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ ფოტოფაბრიკაცია მის მიერ ოპოზიციური „მთავარი არხის“ დამფუძნებლისა და ყოფილი გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას შეწყალებას უკავშირდებოდა[48]. ანონიმური სახელისუფლებო და კრემლისტური ფეისბუქ ანგარიშები გაცნობით პორნოსაიტებზე გავრცელებული ფოტოს პროგრამულად დამუშავებულ ვერსიას ავრცელებდნენ, რომელშიც სხვის სხეულზე ზურაბიშვილის სახე იყო პროგრამულად დატანილი. აღნიშნული ფოტოფაბრიკაცია შემდეგი სექსტისტური კომენტარებით ვრცელდებოდა:

- **შავი მედია**: „ქრისტიანულმა“ საქართველომ, პარიზის კაბარედან გამოგდებული ბებერი მეძავი აირჩია პრეზიდენტად“,
- **ტერენტი გლდანელი**: „სალომე (როენა) ზურაბიშვილი“,
- **ინდ. FB ანგარიში**: „ეს ბოზი ჩემი ქვეყნის მხედართმთავრად შემოგვტენეს“ და სხვა.

48 რადიო თავისუფლება, პრეზიდენტმა ნიკა გვარამია შეიწყალა, 22 ივნისი, 2023
https://www.radiotavisupleba.ge/a/32471204.html

პორნოგრაფიულ და გაცნობით ვებ-გვერდებზე გავრცელებულ ვიზუალზე ფოტოფაბრიკაციის შედეგად პრეზიდენტ ზურაბიშვილის სახეა დატანილი

სლატშეიმინგის კიდევ ორი მაგალითი პატიმრობაში მყოფ საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს უკავშირდებოდა. პირველი მისი დედის, გიული ალასანიას წინააღმდეგ იყო მიმართული, რომელსაც ანონიმურმა სახელისუფლებო გვერდებმა და ანგარიშებმა გაუვრცელეს ფოტოფაბრიკაცია, რომელზეც მთავარი არხის ეთერში გასულ კადრში გიული ალასანიას და ენმ-ის წევრის გიორგი ჩალაძის ფონზე კამასუტრას ნახატები პროგრამულად დამუშავების შედეგად იყო დამატებული, წარწერით „გიული და ჩალაძე პოზებს ამუღამებენ“. აღსანიშნავია, რომ სააკაშვილის დედის წინააღმდეგ სექსისტური შინაარსის დისკრედიტაციის კამპანია 2022 წელსაც მიმდინარეობდა, რასაც თან ერთვოდა დაუდასტურებელი ცნობა იმის შესახებ, რომ სააკაშვილის დედა გათხოვდა და ცოლად ნაციონალური მოძრაობის წევრ გიორგი ჩალაძეს გაჰყვა[49].

პროგრამულად დამუშავებულ ფოტოებზე კამასუტრას ნახატებია დამატებული. რეალურად, კედელზე არა ინტიმური შინაარსის ნახატები, არამედ დოკუმენტებია განთავსებული.

სლატშეიმინგის მესამე შემთხვევა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებისდროინდელ ეკონომიკის მინისტრს, ვერა ქობალიას უკავშირდებოდა, რომლის სახე კრემწასმულ შიშველ სხეულზე იყო პროგრამულად დატანილი.

პროგრამულად დამუშავებული ფოტო ვერა ქობალიას სახით.

ავთენტური ფოტო, რომელიც ინტერნეტში 2008 წლიდან ვრცელდება.

49 თამარ კინწურაშვილი, თინა გოგოლაძე, ანტიგენდერული და ანტილგბტქი მობილიზება საქართველოში https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/239

მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის ობიექტი პარტია „დროას“ ლიდერი ელენე ხოშტარია იყო, რომლის წინააღმდეგ 2014 წლის ვიდეო მცდარი აღწერით გავრცელდა და ამტკიცებდა, რომ ის 1999 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსკურსიაზე რუსულ სიმღერა „კატუშას“ მღეროდა.



ვიდეო 2014 წელს არის გადაღებული და თვითმფრინავის ბორტზე პიატნიცკის სახელობის გუნდის მიერ სიმღერა „კატიუშას“ შესრულებას ასახავს. ვიდეო საქართველოში მცდარი აღწერით გავრცელდა და ამტკიცებდა, რომ მასზე 1999 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსკურსიაზე ელენე ხოშტარია რუსულ სიმღერას მღერის.

აღსანიშნავია, რომ პარტია „დროას“ ლიდერზე კამპანიური ხასიათის თავდასხმებს სისტემატიური ხასიათი აქვს, რაც მისი რუსეთის ინტერესების გამტარებლად წარმოჩენას ისახავს მიზნად. ამ კამპანიისთვის ხოშტარიას მიერ რუსეთში მიღებულ განათლებას და მისი ოჯახის წევრის მიერ რუსეთიდან საავტორო ჰონორარის მიღების ფაქტებს იყენებენ[50].

ქართველ პოლიტიკოსებთან დაკავშირებულ დეზინფორმაციას ძირითად ანონიმური სახელისუფლებო გვერდები და სხვა ანგარიშები ავრცელებდნენ, „დროას“ ლიდერის შემთხვევაში კი – სახელისუფლებო ანგარიშებთან ერთად კრემლისტური აქტორებიც.

50 იქვე

ცხრილი 8. გენდერული დეზინფორმაცია ქართველი პოლიტიკოსების და მათთან დაკავშირებული პირების წინააღმდეგ

მტკიცება	სამიზნე	დარღვევის ტიპი	ქართული წყაროები
დეზინფორმაცია ქართველი პოლიტიკოსების და მათთან დაკავშირებული პირების წინააღმდეგ			
გაცნობით პორნოსაიტებზე გავრცელებული ფოტო, რომელშიც პროგრამულად დამუშავების შედეგად პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი იყო გამოსახული[51]	პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი	ფოტოფაბრიკაცია / სლატშეიმინგი	**ანონიმური სახელისუფლებო FB ანგარიშები:** ტერენტი გლდანელი, **კრემლისტური:** შავი მედია, ინდ. FB ანგარიშები (6)
პრეზიდენტ სააკაშვილის დედა და ენმ-ის წევრი გიორგი ჩალაძე კამასუტრას ნახატების ფონზე წარწერით „გიული და ჩალაძე“ პოზებს ამუღამებენ[52]	გიული ალასანია, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დედა	ფოტოფაბრიკაცია / სლატშეიმინგი	**ანონიმური სახელისუფლებო FB გვერდი** და **ინდ. ანგარიში** ტერენტი გლდანელი, სხვა FB ანგარიშები (6)
ფოტოზე სხეულზე წასმული კრემით ვერა ქობალიაა[53]	ეკონომიკის ყოფილი მინისტრი	ფოტომანიპულაცია / სლატშეიმინგი	ინდ. ფბ ანგარიშები (2)
„დროას“ დამფუძნებელი ელენე ხოშტარია 1999 წელს მოსკოვის სახელწიფო უნივერსიტეტის ექსკურსიაზე რუსულ სიმღერას „კატიუშას“ მღერის[54]	პარტია „დროას“ ლიდერი, ელენე ხოშტარია	ვიდეომანიპულაცია / მორალური კრიტერიუმებით შერცხვენა	**ანონიმური სახელისუფლებო FB გვერდი:** ტერენტი გლდანელი, სახელისუფლებო ექსპერტი გია აბაშიძე, **ინდ.FB ანგარიშები; კრემლისტური FB გვერდი:** მნიშვნელოვანი ცვლილებები და ალტ-ინფოს ინდ. მხარდამჭერები (18)

51 მითების დეტექტორი, ფეისბუკზე სალომე ზურაბიშვილის ფოტოფაბრიკაციები ვრცელდება, 27 ივნისი, 2023 https://mythdetector.ge/ka/pheisbukze-salome-zurabishvilis-photophabrikatsiebi-vrtseldeba/

52 მითების დეტექტორი, სოციალურ ქსელში გიული ალასანიასა და გიორგი ჩალაძის პროგრამულად დამუშავებული ფოტო ვრცელდება, 16 თებერვალი, 2023 https://mythdetector.ge/k6lm

53 მითების დეტექტორი, „სოციალურ ქსელში ვერა ქობალიას პროგრამულად დამუშავებული ფოტო ვრცელდება“, 11 იანვარი, 2023 https://mythdetector.ge/pb2r

54 მითების დეტექტორი, „გავრცელებული ვიდეო ელენე ხოშტარიას არ ასახავს“, 11 აპრილი, 2023 https://mythdetector.ge/ka/gavrtselebuli-video-elene-khoshtarias-ar-asakhavs/

5. ჟურნალისტების წინააღმდეგ

ექვსთვიანი მონიტორინგის პერიოდში ჟურნალისტთა წინააღმდეგ გენდერული დეზინფორმაციის 4 შემთხვევა გამოვლინდა, რასაც თან ინდივიდუალური ჟურნალისტების და მედია საშუალებების წინააღმდეგ მიზანმიმართული დისკრედიტაციის კამპანიებიც ახლდა თან.

სლატშეიმინგის ორივე შემთხვევა ხელისუფლების მიმართ კრიტიკული საინფორმაციო პოლიტიკის მქონე მედიების – „მთავარი არხის“ და ტვ პირველის – ქალი ჟურნალისტების წინააღმდეგ გავრცელდა.

„მთავარი არხის“ ჟურნალისტის დეა მამისეიშვილის ფოტო, რომელზეც მას იმდროისთვის პატიმრობაში მყოფი ამავე არხის დამფუძნებლის ნიკა გვარამიას მხარდასაჭერად მაისური წარწერით – „ირაკლი! ნიკა კრიმინალი არ არის!“ – აცვია, პროგრამულად იყო დამუშავებული. გაყალბებულ ვიზუალში პრემიერ-მინისტრისადმი (ირაკლი ღარიბაშვილი) მიმართვის ნაცვლად წარწერა „ლიფი მიჭერს“ ფიგურირებს. ფოტოფაბრიკაცია სექსისტური კომენტარებით („თავისუფლება ძუძუებს“, „არა გვჯერა, გვანახე“, „სალამი ბიჭებს! მე ლიფი მიჭერს!“) ფეისბუქ ჯგუფში „ქვეყნის მტრების არქივი“, ასევე ინდივიდუალური ფეისბუქ ანგარიშებით გავრცელდა.



პროგრამულად დამუშავებული ფოტო, წარწერით „ლიფი მიჭერს!“

ავთენტური ფოტო, წარწერით „ირაკლი! ნიკა კრიმინალი არ არის!“

ტვ პირველის ჟურნალისტის ინგა გრიგოლიას წინააღმდეგ სლატშეიმინგისთვის წინა წელს გამოვლენილი ვიდეოფაბრიკაცია გამოიყენებოდა. დამონტაჟებული ვიდეო, რომელშიც უკრაინის რადას დეპუტატის, სააკაშვილის პარტნიორის, ლიზა იასკოს სიტყვები – „ჩემი ძვირფასი მამაკაცი მიხეილ სააკაშვილი პოლიტპატიმარია“ – ინგა გრიგოლიას მიაწერებოდა, ამჯერად სააკაშვილის წინააღმდეგ ახალ ვიდეოკოლაჟში იყო გაერთიანებული და მას ხელისუფლების მხარდამჭერი და ოპონენტების მადისკრედიტირებელი ანგარიშები ავრცელებდნენ.

ვიდეოფაბრიკაცია, რომელშიც ლიზა იასკოს სიტყვები ინგა გრიგოლიას მიეწერება

აღსანიშნავია ისიც, რომ ფეისბუქ ანგარიშს „ჟურნალისტი“ პროფილად ინგა გრიგოლიას რომაულ ჩაფხუტიანი სურათი უყენია, ხოლო ქავერად ფეხებს შორის გაჩრილი პირველი არხის მიკროფონი აქვს.

ძველი გაყალბებული ვიზუალების რეპროდუქციის პრაქტიკას სხვა ანგარიშებიც იყენებდნენ, მაგალითად, კრემლისტურ ალტ-ინფო/კონსერვატიულ მოძრაობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ანგარიში 2023 წელსაც ავრცელებდა „მთავარის არხის“ პატიმრობაში მყოფი დამფუძნებლის ნიკა გვარამიას და გენერალური დირექტორის გიორგი გაბუნიას კოცნის გაყალბებულ ვიზუალს[55], რომელიც „მითების დეტექტორმა“ ჯერ კიდევ 2021 წელს გამოავლინა.



გაყალბებული ფოტო, რომელზეც ნიკა გვარამია და გიორგი გაბუნია ერთმანეთს კოცნიან

რეალური ფოტო, რომელზეც ნიკა გვარამია და გიორგი გაბუნია ჟურნალისტ ანა ასათიანს კოცნიან

რაც შეეხება ჰომოფობიურ პოსტებს, ის ტვ „ფორმულას“ და „ნეტგაზეთის“ ინდივიდუალური ქალი და კაცი ჟურნალისტების წინააღმდეგ იყო მიმართული, რა დროსაც მტკიცებას, რომ კონკრეტული ჟურნალისტი ლესბოსელი და ჰომოსექსუალია, ახლდა მათი ფოტოები კომენტარებით, რომლებშიც ისინი ანტიქართველებად და ხალხის მტრებად იყვნენ წარმოჩენილი:

55 ანი ქისტაური, მითების დეტექტორი, როგორ გაქრა ჟურნალისტი ანა ასათიანი „მთავარი არხის“ კადრიდან და როგორ იქცა ტერენტი გლდანელი ANUSHKA.ANUSHKA-დ? 14 სექტემბერი, 2021 https://mythdetector.ge/z4r1

- **ანონიმური FB ანგარიში „ჟურნალისტების მარგალიტები“:** „ფოტოზე თქვენ ხედავთ X მედიის ლეზბოსელ ჟურნალისტს, LGBTQ აქტივისტ Y-ს და მის შეყვარებულს. გახსოვდეთ, რომ ნაც არხების პროპაგანდისტები, ყველანი არიან არატრადიციული ორიენტაციის მქონდე ანტიქართველები!“
- **ანონიმური FB ანგარიში „ჟურნალისტების მარგალიტები“:** „გაიცანით X მედიის ჟურნალისტი... თითოეული ქართველი სახეზე უნდა იცნობდეს ჩვენი ქვეყნის ლგბტქ+ მტრებს“.

აღნიშნული პოსტები ფეისბუქის საზოგადოებრივი სტანდარტების დარღვევის, კერძოდ, სიძულვილის ენის, გამო პლატფორმაზე ხელმისაწვდომი აღარ არის. ორივე პოსტი ხელისუფლებასთან დაკავშირებულმა ანონიმურმა FB ანგარიშმა („ჟურნალისტების მარგალიტები[56]“) გაავრცელა, რომლის იდენტური FB გვერდი თითქმის იგივე სახელწოდებით (ქართული ჟურნალისტიკის მარგალიტები / journalist fails[57]) და იდენტური ვიზუალით არის ხელმისაწვდომი. ორივე ანგარიში ოპოზიციის და მედიის მადისკრედიტირებელ პოსტებს აქვეყნებს.

56 ინდივიდუალური ფეისბუქ ანგარიში „ჟურნალისტების მარგალიტები“ https://www.facebook.com/jurna.listi1
57 ფეისბუქ გვერდი „ქართული ჟურნალისტიკის მარგალიტები / journalist fails“, ID 110044894712197 https://www.facebook.com/journalistfails

ფეისბუქ გვერდი „ქართული ჟურნალისტიკის მარგალიტები/journalist fails“, რომელსაც 4 ადმინისტრატორი მართავს, ჟურნალისტების მადისკრედიტირებელ პოსტებს ხშირად ასპონსორებს.



ჟურნალისტების წინააღმდეგ დასპონსორებული პოსტები FB გვერდზე „ქართული ჟურნალისტიკის მარგალიტები/journalist fails“

ცხრილი 9. გენდერული დეზინფორმაცია ჟურნალისტების წინააღმდეგ

მტკიცება	სამიზნე	დარღვევის ტიპი	ქართული წყაროები
ჟურნალისტების წინააღმდეგ			
ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ჟურნალისტის დეა მამისეიშვილის ფოტო მაისურზე წარწერით „ლიფი მიჭერს“[58]	„მთავარი არხის“ ჟურნალისტი	ფოტოფაბრიკაცია / სლატშეიმინგი	**FB ჯგუფი:** „ქვეყნის მტრების არქივი“, **ინდ. FB ანგარიშები** (3)
ვიდეოში ინგა გრიგოლია წარმოთქვამს შემდეგ სიტყვებს: „ჩემი ძვირფასი მამაკაცი მიხეილ სააკაშვილი პოლიტპატიმარია“[59]	TV პირველის ჟურნალისტი ინგა გრიგოლია	ვიდეომანიპულაცია / სლატშეიმინგი	**ანონიმური სახელისუფლებო FB გვერდები:** არ აგარევინებთ; პოლიტიკური სამარე N5; **ჯგუფი ჟურნალისტი; FB ანგარიში:** ჟურნალისტი, ინდ. ანგარიშები (8)

58 მითების დეტექტორი, ფეისბუქზე „მთავარი არხის“ ჟურნალისტის პროგრამულად დამუშავებული ფოტო ვრცელდება, 26 აპრილი, 2023 https://mythdetector.ge/e479

59 მითების დეტექტორი, ლიზა იასკო თუ ინგა გრიგოლია – ვინ უწოდა მიხეილ სააკაშვილს „ძვირფასი მამაკაცი“? 8 თებერვალი, 2023 https://mythdetector.ge/wm63

X ჟურნალისტი ლესბოსელია. ოპოზიციური არხების ჟურნალისტები ყველა არატრადიციული ორიენტაციის მქონე ანტიქართველია	ფორმულა	დეზინფორ-მაცია	**ანონიმური სახელისუფლებო FB ანგარიში:** „ჟურნალისტების მარგალიტები“
X ჟურნალისტი ლგტქი იდენტობისაა და ხალხის მტერია	ნეტგაზეთი	დეზინფორმა-ცია / სლატშეიმინგი	**ანონიმური სახელისუფლებო FB ანგარიში:** „ჟურნალისტების მარგალიტები“

ორი ფეისბუქ პოსტის გარდა, რომელიც კონკრეტული ჟურნალისტების სექსუალურ იდენტობას შეეხებოდა, გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური ჟურნალისტების ლესბოსელებად ან გეებად მოხსენიება, მათ შორის სექსისტური, შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენებით, მათ პროფესიულ ან საზოგადოებრივ და პოლიტიკურ აქტივობასთან დაკავშირებით ხდებოდა. ზემოთწარმოდგენილი ერთიანი მონაცემების გარდა, ჩვენ ცალკე გავაანალიზეთ, თუ რა სიხშირით ხდებოდა ჟურნალისტების სექსუალურ იდენტობაზე აპელირება ასეთ შემთხვევებში და გამოვყავით ის ორი მედია, რომელიც ამ მხრივ ყველაზე ხშირად იყო სამიზნე. ესენია: ოპოზიციური „მთავარი არხი“ (19) და საზოგადოებრივი მაუწყებელი (16). აღსანიშნავია ისიც, რომ ჟურნალისტები სამიზნეები იმისდა მიუხედავად ხდებოდნენ, ჰქონდათ თუ არა მათ საკუთარი სექსუალური იდენტობა ღიად გაცხადებული.

„მთავარი არხის“ შემთხვევაში ყველაზე ხშირად ასეთი შეფასებები მის ერთ-ერთ დამფუძნებელს ნიკა გვარამიას მიემართებოდა, ხოლო საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაში, არხის გენერალურ დირექტორს – თიკო ბერძენიშვილს. თუ ბერძენიშვილის წინააღმდეგ თავდასხმების წყარო ძირითადად კრემლისტური სეზონი ტვ-ის წამყვანები იყვნენ, გვარამიას შემთხვევაში როგორც სეზონი ტვ, ასევე კრემლისტური პარტია ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა და მათი ტელევიზია.

კონსერვატიული ფლანგი: „ზურაბიშვილმა ჩუკენა ქათამი შეიწყალა“

ალექსანდრე ფალავანდიშვილი: „საზ.. მაუს გეი აქტივისტი გენ. დირექტორი ისრაელის ელჩს „ანგარიშს აბარებს“.

„მთავარი არხთან“ მიმართებით სექსუალურ იდენტობაზე აპელირება როგორც ნიკა გვარამიას, ასევე კრიტიკული გაშუქების ცალკეულ შემთხვევებს და მათ ავტორებს უკავშირდებოდა. როგორც ქვემოთმოცემულ ცხრილში ჩანს, მეტწილად ეს თავდასხმები პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მიერ ნიკა გვარამიას შეწყალებას უკავშირდებოდა, ასევე გვარამიას კრიტიკას კრემლისტური პარტია ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობის მიმართ. „მთავარი არხის“ გაშუქება კი თავდასხმების საფუძველი 2 შემთხვევაში გახდა: ბექა ყორშიას სიუჟეტის[60] გამო, რომელიც მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ამხელდა; ასევე 2019 წელს ჟურნალისტ გიორგი გაბუნიას მიერ პუტინის სატელევიზიო ეთერში გინების[61] საბაბით.

ცხრილი 10. მიკუთვნება სექსუალური იდენტობის ნიშნით (მთავარი არხი)

ვედრა საშუალება / ჟურნალისტი	თავდასხმის საფუძველი	მიკუთვნება სექსუალური იდენტობის ნიშნით	წყარო
მთავარი არხი			
ნიკა გვარამია, თანადამფუძნებელი	პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მიერ პატიმრობაში მყოფი ოპოზიციური არხის დამფუძნებლის ნიკა გვარამიას შეწყალება (5)	კონჩიტა ნიკა გვარამია, კონჩიტების პრეზიდენტი, ეს მესაჯდომეების იმპერატრიცა, გეი მენეჯერი, ნიკუტა გვარამია, მამათმავლების პრეზიდენტი, კონჩიტა ნიკუტა გვარამია	დიტო ჩუბინიძე, ასავალ-დასავალი/სეზონი ტვ
		ჩუკენა ქათამი, თემურისა და ელტონის რომანტიული სიყვარულის შემდეგ	**FB გვერდი:** კონსერვატიული ფლანგი
		პიდარასტი	შოთა მარტინენკო, ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა
	ალტ-ინფოს კრიტიკის საპასუხოდ (5)	ტიპი არის ქათამი	ზურა მახარაძე, ალტ-ინფო / კონსერვატიული მოძრაობა
		მებრძოლი პიდარასტები	შოთა მარტინენკო, ალტ-ინფო / კონსერვატიული მოძრაობა
		ჩვეულებრივი ქათამია, ვიღაც ქათამი	გიორგი ქარდავა, ალტ-ინფო / კონსერვატიული მოძრაობა
		ტრანსგენდერი	ალექსანდრე ფალავანდიშვილი, ალტ-ინფოს წამყვანი

60 მთავარი არხი, როგორ გახდა ირაკლი ღარიბაშვილი აკადემიკოსი...|ბექა ყორშიას სიუჟეტი. 11 ივნისი, 2023. https://mtavari.tv/news/126231-rogor-gakhda-irakli-gharibashvili-akademikosi

61 ნეტგაზეთი, გაბუნიამ პუტინს პირდაპირ ეთერში რუსულად აგინა, გვარამიასთვის ეს მიუღებელია. 7 ივლისი, 2019 https://netgazeti.ge/news/378630/

	ნიკა გვარამიას პოლიტიკაში შესაძლო მოსვლასთან დაკავშირებით (2)	გეი პრაიდის ლიდერი, ქათმების ბრიგადირი	დიტო ჩუბინიძე, ასავალ-დასავალი / სეზონი ტვ
		კონჩიტა ნიკა გვარამია	დიტო ჩუბინიძე, ასავალ-დასავალი / სეზონი ტვ
	ამერიკის საელჩოს მიღებაზე ნიკა გვარამიას მიწვევის გამო (1)	კონჩიტების დედოფალი, პრინცესა, ქალბატონი ნიკუტა გვარამია	ნიკოლოზ მჟავანაძე, სეზონი ტვ
	მარტის საპროტესტო აქციები „უცხოეთის აგენტების“ კანონის წინააღმდეგ (1)	ის ქათმების დედოფალი	ნიკოლოზ მჟავანაძე, სეზონი ტვ
ბექა ყორშია	„მთავარი არხის“ სიუჟეტი, რომელშიც ბექა ყორშია მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ამხელს (4)	გეი კონჩიტა, საყურეებიანი ყორშია, საყურიანი კონჩიტა,	დიტო ჩუბინიძე, ასავალ-დასავალი / სეზონი ტვ
		საყურიანი ყორშია, „დაიკიდოს ორი ბოქლომიც, ერთი – პირზე, ხოლო მეორე – უკანალზე“	ელიზბარ ჯაველიძე, სახალხო ფრონტი
გიორგი გაბუნია	2019 წელს სატელევიზიო ეთერში გაბუნიას მიერ რუსეთის პრეზიდენტის გინება (1)	კონჩიტების პრეზიდენტი, პუტინს რო აგინა დედა	დიტო ჩუბინიძე, ასავალ-დასავალი / სეზონი ტვ

საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაში ყველაზე ხშირად (13) სამიზნე არხის გენერალური დირექტორი თიკო ბერძენიშვილი იყო, მეტწილად ქართული სერიალის[62] გამო, რომლის ერთ-ერთ ეპიზოდში პერსონაჟი ოჯახს საკუთარ ლესბოსურ იდენტობას უმხელს. თიკო ბერძენიშვილის წინააღმდეგ თავდასხმებს ძირითადად სეზონი ტვ-ს წამყვანის, ნიკოლოზ მჟავანაძისა და მისი გადაცემის თანაწამყვანის, დიტო ჩუბინიძის მხრიდან ჰქონდა ადგილი, რომელიც ამავდროულად სიძულვილის ენით გამორჩეული გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტიცაა. მათი მხრიდან კრიტიკა საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკის სხვა ასპექტებსაც უკავშირდებოდა, მათ შორის „სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული“ განცხადებებისთვის ეთერში დროის დათმობასაც. ამავე არხის საავტორო გადაცემის წამყვანი პაატა ქურდაძე კი ნიკოლოზ მჟავანაძისა და ორგანიზაცია „სტალინის“ მხრიდან თავდასხმების ობიექტი სტალინის კრიტიკის გამო გახდა.

62 საზოგადოებრივი მაუწყებელი, „სიყვარულის მიღმა“ https://1tv.ge/show/siyvaruls-mighma/

ცხრილი 11. მიკუთვნება სექსუალური იდენტობის ნიშნით (საზოგადოებრივი მაუწყებელი)

მედია საშუალება / ჟურნალისტი	თავდასხმის საფუძველი	მიკუთვნება სექსუალური იდენტობის ნიშნით	წყარო
საზოგადოებრივი მაუწყებელი			
თიკო ბერძენიშვილი, გენერალური დირექტორი (13)	სერიალი 1 არხზე, რომლის ერთ-ერთი პერსონაჟი ლესბოსელია (7)	ლესბოსელი, ლესბოსელი ქალბატონი მართავს, პანღურით უნდა გააგდო ის ლესბოსელი ბერძენიშვილი, ნაძირალა ლესბოსელი ქალი, განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე ქალბატონი	ნიკოლოზ მჟავანაძე, სეზონი ტვ
		ლატენტური ლესბოსელი	დიტო ჩუბინიძე, ასავალ-დასავალი / სეზონი ტვ
	სახელმწიფო არხი საეთერო დროს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ განცხადებებს უთმობს (2)	ლესბოსელი დირექტორი... დასაჭერთა სიაში შესაყვანი, ლესბოსელი ქალბატონი	ნიკოლოზ მჟავანაძე, სეზონი ტვ
	სარედაქციო პოლიტიკის გამო თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნა (2)	ლესბოსელი ქალბატონი, ლესბოსელი ხელმძღვანელი	ნიკოლოზ მჟავანაძე, სეზონი ტვ
	საზოგადოებრივი მაუწყებელი არ აშუქებს, თუ როგორ უშლის ამერიკა ხელს ქვეყნის გამთლიანებას და როგორ მოაწყო 2003 წელს რევოლუცია (1)	ლესბოსელი ქალი	ნიკოლოზ მჟავანაძე, სეზონი ტვ
	ისრაელის ელჩთან შეხვედრა (1)	გეი აქტივისტი გენ. დირექტორი	ალექსანდრე ფალავანდიშვილი, ალტ-ინფოს წამყვანი
პაატა ქურდაძე	სტალინის კრიტიკა (3)	ლგბტ მაისური აცვია, ეტყობა ამას მართლა ახველებს, ლატენტური გეი	ნიკოლოზ მჟავანაძე, სეზონი ტვ
		შე არაფრანგო და არაქართველო, შენ ტრაკის მიმცემო შენა	გრიშა ონიანი, საზოგადოება „სტალინი“

ინდივიდუალური ჟურნალისტების სექსუალური იდენტობის თემებზე მანიპულირების გარდა, დისკრედიტაციის კამპანიის ნაწილი იყო ასევე ჟურნალისტების გეი პროპაგანდისტებად და ლიბერასტებად (ტერმინი, რომელიც ლიბერალის და პიდარასტის კომბინაციას გამოხატავს) მოხსენიება, თუმცა წარმოდგენილ კვლევაში ასეთი მაგალითები განხილული არ არის.

6. სამოქალაქო აქტივისტების / საგამომცემლო სახლის წინააღმდეგ

სამოქალაქო პროტესტის დისკრედიტაციის მიზნით, როგორც ანონიმური სახელისუფლებო, ასევე კრემლისტური ანგარიშები სხვადასხვა შინაარსის ყალბ ამბებს ავრცელებდნენ. ერთ შემთხვევაში სამიზნე ფემინისტი ბაია პატარაია და ყოფილი სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია იყვნენ, რომელ-თაც ერთნაირსქესიანთა ქორწინების კანონპროექტის ინიცირება მიეწერებოდათ, სხვა შემთხვევაში საპროტესტო აქციების დროს დაკავებული ლაზარე გრიგორიადისის მხარდაჭერებად, ვიზუალური მანიპულაციის შედეგად, ბელგიის პრაიდის წევრი და დრეგ ქვინები იყვნენ წარმოდგენილები.

პროგრამულად დამუშავებული ფოტო წარწერით #თავისუფლება ლაზარეს



ავთენტური ფოტოები, რომლებშიც სურათზე ასახულ პირებს ხელში პლაკატები არ უჭირავთ

ვიზუალური მანიპულაცია იყო ასევე გამოყენებული ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის წინააღმდეგ, როცა ლოგოზე ლგბტ აკრონიმი პროგრამული დამუშავების შედეგად იყო დატანილი და სოციალურ ქსელში მოწოდებით „ბოიკოტი მის გამომცემლობას“ ვრცელდებოდა, რაც მთლიანობაში ჰომოფობიურ კონტექსტს ქმნიდა.

გაყალბებული ლოგო, ტექსტით „სულაკაური აღარ მალავს გეობას!“ ბოიკოტი მის გამომცემლობას

ორიგინალი ლოგო

აღსანიშნავია, რომ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის წინააღმდეგ კამპანია კრემლისტურმა ჯგუფებმა წამოიწყეს და მოგვიანებით იგივე გზავნილი, თითქოს გამომცემლობა „ლგბტ პროპაგანდას“ ეწეოდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმაც გაიმეორა[63]. სულაკაურის გამომცემლობის წინააღმდეგ კამპანია ორ წიგნს უკავშირდებოდა. ესენია: „ძილისპირული ამბები მეამბოხე გოგონებისთვის“, რომელშიც ტრანსგენდერი ქალის ისტორიაა მოთხრობილი და მე-17 საუკუნის მეზღაპრის, შარლ პეროს ერთ-ერთი ზღაპარი „ვირისტყავა“.

მარტის საპროტესტო აქციების შემდეგ, რის შედეგადაც ხელისუფლებას პირველი მოსმენით მიღებული „უცხოეთის აგენტების“ შესახებ რუსული ტიპის კანონის უკან გაწვევა მოუწია, მიზანმიმართული დისკრედიტაციის კამპანიის სამიზნე აღმოჩნდა GenZ თაობა, რომელმაც ამ პროტესტში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ვიდეომანიპულაცია, რომელიც GenZ თაობის ბოლო ზარად იყო წარმოჩენილი და რეალურად ამერიკული ბენდის – Body War-ის შოუს ასახავდა, მორალური კრიტერიუმებით გაკიცხვას ისახავდა მიზნად. იგივე ვიდეო 2022 წელს რუსულენოვან აუდიტორიაში სრულად სხვა ანტიევროპულ კონტექსტში გავრცელდა და ამტკიცებდა, რომ ჩანაწერი ნორვეგიაში თანამედროვე ავანგარდული ხელოვნების გამოფენას ასახავდა.

63 ტაბულა. პენცენტრი: ვგმობთ სულაკაურის გამომცემლობის წინააღმდეგ დაწყებულ ამაზრზენ რუსულ კამპანიას, 3 ივლისი, 2023 https://tabula.ge/ge/news/703689-pentsentri-vgmobt-sulakauris-gamomtsemlobis

ვიდეო, რომელიც მცდარი აღწერით გავრცელდარეალურად ამერიკული ბენდის – Body War-ის შოუს ასახავს.

აღსანიშნავია, რომ ანონიმური სახელისუფლებო ანგარიშების მიერ ბაია პატარაიას და ნინო ლომჯარიას წინააღმდეგ გავრცელებული პოსტი დასპონსორებული იყო.



ცხრილი 12. დეზინფორმაცია სამოქალაქო აქტივისტების და საგამომცემლო სახლის წინააღმდეგ

მტკიცება	სამიზნე	დარღვევის ტიპი	ქართული და სხვა წყაროები	რუსული წყაროები
არასამთავრობო ორგანიზაციები პარლამენტში ერთნაირსქესიანთა ქორწინებასთან დაკავშირებით კანონპროექტის შეტანას აპირებენ[64]	ბაია პატარაია, საფარი; ნინო ლომჯარია, ყოფილი სახალხო დამცველი	დეზინფორ-მაცია	ქართული ფბ ანგარიში	**ანონიმური სახელისუფ-ლებო FB გვერდები:** პოლიტიკური რენტგენი / Political X-ray, ანტირუსული პლატფორმა – AntiRussian Platform
ლაზარე გრიგორიადისს მხარდაჭერას ბელგიის პრაიდის წევრი და დრეგ ქვინები უცხადებენ[65]	ლაზარე გრიგორი-ადისი	ფოტომანიპუ-ლაცია	**კრემლისტური FB ანგარიშები:** შიინ ევროპის-კენ	
სულაკაურის გამომცემლობის ლოგო, რომელზეც LGBT აბრივიატურა არის დატანილი[66]	ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა	ფოტოფაბრი-კაცია	ინდ. FB ანგარიში	
ვიდეო, რომელშიც ერთ-ერთი ახალგაზრდა ბეისბოლის ბიტას ნაგვის ურნას ურტყამს, მეორე ქალი მიწაზე გორაობს და მღერის, საქართველოში წარწერით „GEN–Z“ თაობის „ბოლო ზარი“ გავრცელდა, რუსეთში კი ნორვეგიაში ავანგარდული ხელოვნების გამოფენის ილუსტრაციად[67].	Gen-z თაობის წინააღმდეგ / ევროპის წინააღმდეგ	ვიდეომანი-პულაცია / მორალური კრიტერიუმე-ბით შერცხვენა	**ანონიმური სახელისუფ-ლებო FB გვერდი:** „ჩემი საქართველო აქ არის“	rnk-concept.ru; Россия Ноев Ковчег (3)

64 მითების დეტექტორი, ვინ ავრცელებს დასპონსორებულ დეზინფორმაციას, თითქოს არასამთავრობოები ერთნაირსქესიანთა ქორწინების კანონპროექტის ინიცირებას გეგმავენ? 6 აპრილი, 2023 https://mythdetector.ge/iowr

65 მითების დეტექტორი, ფოტოები, თითქოს ბელგიის პრაიდის წევრი და დრეგ ქვინები გრიგორიადისს მხარდაჭერას უცხადებენ, ყალბია, 6 აპრილი, 2023 https://mythdetector.ge/nrhg

66 მითების დეტექტორი, სოციალურ ქსელში ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის ლოგოს დამუშავებული ვერსია ვრცელდება, 23 ივნისი, 2023 https://mythdetector.ge/9632

67 დავით რობაქიძე, მითების დეტექტორი, GEN-Z თაობის ბოლო ზარი თუ ამერიკული ბენდი – რას ასახავს ვიდეო? https://mythdetector.ge/ka/gen-z-thaobis-bolo-zari-thu-amerikuli-bendi-ras-asakhavs-video/

7. სხვადასხვა

სხვადასხვაში ორი ჰომოფობიური დეზინფორმაციიდან ერთი რუსი პროპაგანდისტის ვლადიმერ სოლოვიოვის შვილის ჰომოსექსუალობას ეხებოდა, ხოლო მეორე კრემლისტური პარტია პატრიოტთა ალიანსის ლიდერის დავით თარხან-მოურავის მტკიცებას იმის შესახებ, თითქოს ნანოროობოტების მეშვეობით სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გენურ რედაქტირებაზე მუშაობა მიმდინარეობდა. ამავე კატეგორიაში მოხვდა ასევე Zneoba.ge-ს მიერ გავრცელე-



ბული, მეცნიერულ მტკიცებულებებს მოკლებული ცნობები ჩასახვის საწინააღმდეგო მეთოდებსა და ხელოვნურ განაყოფიერებაზე. თბილისის მერიის და საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის სახელით გავრცელებული ინფორმაცია ულიფოდ მოსიარულე გოგოების დაჯილდოვების შესახებ სატირული ხასიათის იყო, თუმცა, ბევრი სოციალურ ქსელში ამ ინფორმაციას რეალურად აღიქვამდა.

უნდა აღინიშნოს, რომ კრემლის პროპაგანდისტის ვლადიმერ სოლოვიოვის შვილის დაქორწინების შესახებ ინფორმაციას სოციალური ქსელების ქართველი, უკრაინელი და რუსი მოხმარებლები განსხვავებულ კონტექსტში ავრცელებდნენ. ნაწილი პოსტს ორმაგი სტანდარტების ილუსტრირებისთვის აზიარებდა და კრემლის პროპაგანდის მთავარ გზავნილზე მიანიშნებდა, რომელიც ევროპას გარყვნილების ბუდედ, რუსეთს კი სულიერების კერად სახავს. „მითების დეტექტორის“ მიერ ფეისბუქზე ამ ინფორმაციის ყალბად მონიშვნის შემდეგ, ბევრმა პოსტები წაშალა. თუმცა, პოსტების ნაწილს მკაფიო ჰომოფობიური დატვირთვა ჰქონდა.

კადრები ვლადიმირ სოლოვიოვის შვილის ქორწინებას არ ასახავს. რეალურად, ფოტოები 2017 წელს, ოქტომბერში მექსიკის ერთ-ერთ სანაპიროზე არის გადაღებული და მასზე ამერიკელი მოდელები ტედ ნელსონი და არენ მიუსი არიან გამოსახული.

ცხრილი 13. გენდერული დეზინფორმაცია სხვადასხვა თემატიკაზე

მტკიცება	სამიზნე	დარღვევის ტიპი	ქართული და სხვა წყაროები	რუსული წყაროები
რუსი პროპაგანდისტის, ვლადიმირ სოლოვიოვის შვილი ჰომოსექსუალია და დაქორწინდა[68]	ვლადიმირ სოლოვიოვი	დეზინფორმა-ცია / ფოტომა-ნიპულაცია	ინდ. ქართული, უკრაინული FB ანგარიშები (15)	ინდ. FB ანგარიშები 7
ნანორობოტების მეშვეობით სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გენურ რედაქტირებაზე მუშაობა მიმდინარეობს[69]	ლგბტქი იდენტობის ადამიანები	დეზინფორ-მაცია	დავით თარ-ხან-მოურავი, კრემლისტური პატრიოტთა ალიანსი	
ჩასახვის შემთხვევები მეტია იმ ქალებში, რომლებიც იყენებენ სპირალს; ხელოვნური განაყოფიერების შემთხვევაში ირჩევა „ყველაზე სიცოცხლისუნარიანი“ ემბრიონი, ხოლო დანარჩენს „კლავენ“.	კონტრაცეპცია, ხელოვნური განაყოფი-ერება	მცდარი ინფორმაცია	Zneoba.ge, წყარო: სერბი გინეკოლოგი სტოიან ადაშევიჩი	
თბილისის მერია, პოზიტიური განწყობის შექმნის გამო, ყოველ მეასე ულიფოდ მოსიარულე გოგოს დააჯილდოვებს.[70]	თბილისის მერია	სატირა	ინდ. FB ანგარიშები (7)	

68 მითების დეტექტორი, რა ვიცით დანილ სოლოვიოვის სამოდელო კარიერის შესახებ და ვის ასახავს გავრცელებული ფოტოები? 20 თებერვალი, 2023 https://mythdetector.ge/nsv2

69 მარიამ რამაზაშვილი, დეზინფორმაცია, თითქოს ნანოტექნოლოგიით ლგბტქ+ პირთა გენურ რედაქტირებაზე მუშაობა მიმდინარეობს, 22 ივნისი, 2023 https://mythdetector.ge/pw35

70 მითების დეტექტორი, ქალებთან დაკავშირებით თბილისის მერიის ჯილდოზე სატირული ინფორმაცია ვრცელდება, 1 ივნისი, 2023 https://mythdetector.ge/P3Wp

მალცევგო 1. რუსულ და ქართულ წყაროებში გავრცელებული იდენტური დეზინფორმაცია დასავლეთის და უკრაინის წინააღმდეგ



WWW.MDFGEORGIA.GE

WWW.MYTHDETECTOR.GE

WWW.MDFGEORGIA.GE

WWW.MYTHDETECTOR.GE

WWW.MILLAB.GE